ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაკადული




პიონერი
პიონერი
ნაკადული

საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“

1996 წ. №4
გამოდის 1926 წლიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

F-6501

# ნომრის შინაარსი

„ნაკადული“ 70 წლისაა. მოლოცვები ........ 2-3-4
ფაცეტიები. პოჯო („პიონერი“. 1939 წ.) ........ 5
ტკბილი მოგონება. პ. შარაბიძე („პიონერი“. 1940 წ.) ........ 6-7
სერ პატრიკ სპენსი. შოტლანდიური ხალხ. ბალადა ........ 8-9
ხელი. იოსებ გრიშაშვილი („პიონერი“ 1947 წ.) ........ 10
„ნაკადული“ მურმან ლებანიძე („პიონერი“ 1948 წ.) ........ 11
ბეკეკო. რევაზ ინანიშვილი („პიონერი“ 1956 წ.) ........ 12-14
ჩემო ენავ, ძირში ხარ მოსაჭრელი („პიონერი“ 1964 წ.) ........ 15
შევკრიბოთ ხალხური საუნჯე („პიონერი“ 1977 წ.) ........ 16
ჯადოსნური სარკე („პიონერი“ 1981 წ.) ........ 17
საინფორმაციო სააგენტო „ფაქტი“ ........ 18
წყალქვეშა გვირაბის საიდუმლო. დიმ. ლობჟანიძე
(მოთხრობა. დასასრული) ........ 19-23
სიტყვის კონა. სიცილის გაკვეთილი ........ 24
ობოლი მაიმუნი აგრაფინა (ბუნების კარი) ........ 25
მაინც რა არის ასტროლოგია? ........ 26-27
კითხვა — თქვენი, პასუხი — ჩვენი ........ 28
თეატრი რთული ფენომენია. ხ. წულაძე ........ 29-31

მთავარი რედაქტორი მანანა გელაშვილი
მხატვარი-რედაქტორი გაიოზ ფოცხიშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ქეთევან ცაბაცაძე

რედაქციის მისამართი: 384096, თბილისი, კოსტავას ქ.№14
ტელეფონები: 93-31-81, 93-18-84
ფასი სახელშეკრულებო
ინდექსი: 76157

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# წლების გადასახედიდან

ეგებ უფრო მართებული ყოფილიყო ჩვენი ჟურნალის ასაკის ათვლა 1904 წლიდან დაგვეწყო, როცა სასიქადულო მამულიშვილთა მესვეურობით დაფუძნებული საყმაწვილო "ნაკადულის" პირველი ნომერი გამოვიდა, მაგრამ აწინდელი „ნაკადულის“ უშუალო წინამორბედი, ჟურნალი „პიონერი“ 70 წლის წინ, 1926 წლის ოქტომბერში გამოვიდა და ოფიციალურად სწორედ ეს დღე ითვლება მისი დაბადების თარიღად.

მაშ ასე, იმ პირველი საყმაწვილო ჟურნალების ნაკვალევზე ამოზრდილი ჩვენი და თქვენი „ნაკადული“, ყოფილი „პიონერი“, წელს 70 წლის შესრულდა. დიდად ღვაწლმოსილი ხვდება იგი თავისი არსებობისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის 70 წელს. ვინ მოთვლის, რამდენ მოზარდს მიუღია სულიერი საზრდო და ესთეტიკური სიამოვნება მისი ფურცლებიდან, რამდენს გაუმდიდრებია ცოდნა, რამდენი გოგო-ბიჭის ფიქრს, ნაფიქრსა და ოცნებას უყვავილია მის გვერდებზე, რამდენ ახალგაზრდა მწერალს, პოეტსა თუ მხატვარს აუდგამს ფეხი და დავაჟკაცებულა ჟურნალში! სიამოვნებით თანამშრომლობდნენ მასთან შიო მღვიმელი, ნინო ნაკაშიძე, ლეო ქიაჩელი, ანა სახუფაშვილი, მარიჯანი, იოსებ გრიშაშვილი, გიორგი ქუჩიშვილი, ილია სიხარულიძე, მაყვალა მრევლიშვილი, მოგვიანებით კი – მარგო თომაძე, ნაზი კილასონია, რევაზ ინანიშვილი, გივი ჭიჭინაძე, კარლო კობერიძე, მზია ჩხეტიანი, სხვები და სხვები. ჟურნალი ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალპროფესიული ილუსტრაციებით, რაც, ცხადია, მის გარშემო შემოკრებილი მხატვრების დამსახურებაა. სხვადასხვა დროს ჟურნალის დასურათხატებაზე ხელით და გულით მუშაობდნენ ლადო გუდიაშვილი, უჩა ჯაფარიძე, შალვა ცხადაძე, დიმიტრი ხახუტაშვილი, გიორგი თოთიბაძე, კუკი მახარაძე, რევაზ ცეცქირიძე, რომელთა საუკეთესო ტრადიციები განაგრძეს იოსებ სამსონაძემ, ჯემალ ლოლუამ, თენგიზ სამსონაძემ, ზურაბ ფორჩხიძემ, ედუარდ ამბოკაძემ, დიმიტრი ზარატიშვილმა, თემურ ფხიკიძემ, ზაურ დეისაძემ და ბევრმა სხვამ, ყველას ვერ ჩამოვთვლით.

გადიოდა დრო, იცვლებოდა მკითხველთა თაობები, იცვლებოდა მათი ინტერესებიც, გემოვნებაც, ცხადია, იცვლებოდა რედაქციის შემადგენლობაც. ამის შესაბამისად მრავალფეროვნდებოდა ჟურნალი, იცვლიდა გარეგნულ იერს, ერთი განყოფილება თუ რუბრიკა მეორეს ცვლიდა. უცვლელი რჩებოდა მთავარი დანიშნულება – ღირსეული მამულიშვილები აღეზარდა სამშობლოსთვის, სიყვარული, სიკეთე ეთესა ყმაწვილთა გულებში, გაეფაქიზებინა მათი სული, ესწავლებინა შრომის ყადრი, გაეფართოებინა თვალსაწიერი. მკითხველთა უამრავი წერილი, მათი ცხოველი მონაწილეობა ჟურნალის ფურცლებზე წამოწყებულ საუბრებში, დისკუსიებსა თუ ვიქტორინა-კონკურსებში იმაზე მეტყველებდა, რომ ყმაწვილებს მოსწონდათ მათი ჟურნალი, რომ ისინი ენდობოდნენ მას. ხოლო ეს მოწონება, სიყვარული და ნდობა ძალას მატებდა ჟურნალის ყოველი ნომრის მომზადება-გამოცემაზე მომუშავე ადამიანებს და მეტის გასაკეთებლად განაწყობდა თითოეულ მათგანს.

სიხარული, ბედნიერი დღეები, გამარჯვებები მრავლად ჰქონდა იუბილარს განვლილი 70 წლის მანძილზე, მაგრამ ბოლო ხანებში გაუჭირდა ცოტა, გაძნელდა საბაზრო ეკონომიკის მიერ წამოყენებულ მოთხოვნათა შესაბამისი პირველი ნაბიჯების დამოუკიდებლად გადადგმა. ისეთი დღეც დადგა, რომ „ნაკადულის“ გამოცემა საეჭვო გახდა. სწორედ უკიდურესი სასოწარკვეთილების ჟამს მოუსწრო სახელმწიფო დახმარებამ, რომლის წყალობითაც არ დაიშრიტა „ნაკადულის“ თვალი და ჟურნალი კვლავაც გამოდის. თუმცა მცირე ტირაჟით, თუმცა არაყოველთვიურად, არაფერადი, მაგრამ მაინც გამოდის, ხოლო ისეთი პირი უჩანს, რომ ხვალ-ზეგ საქმე უკეთ და უკეთ წავა და ყმაწვილებისათვის განკუთვნილი ჟურნალი ისეთი იქნება, ჩვენ რომ გვინდა და თქვენ რომ იმსახურებთ. ჩვენ ცდას არ დავაკლებთ, გარჯასაც მოვუმატებთ და შემოქმედებით ძიებასაც გავაათკეცებთ. ჩანაფიქრი, გეგმა, სურვილი ბევრი გვაქვს, და ეჭვი არ არის, მათი განხორციელება ყველას გაგახარებთ. თქვენ კი, მკითხველებო, ერთს გთხოვთ – იკითხეთ „ნაკადული“, ითანამშრომლეთ ჩვენთან, მოგვწერეთ, რა მოგწონთ და რა არა ჟურნალში, რის წაკითხვას ისურვებდით მის ფურცლებზე.

*რედაქცია*

## მადლობელი ვარ იმ წლების...

თავისი სამოცდაათი წლის იუბილეს დღეებში ჟურნალი „ნაკადული" კვლავ ახალგაზრდული შემართებით და დიდი სიყვარულით მოგესალმებათ მის ძველ და დღევანდელ მკითხველებს, ყველას ვინც წლების მანძილზე თავისი ოჯახის კარს უღებდა და თავისი შვილების აღზრდის მონაწილედაც ხდიდა ჩვენს ჟურნალს.

მე ბედნიერება მქონდა, ოცდაშვიდი წლის (1964-1991) მანძილზე მემუშავა ამ ჟურნალში. ამ ხნის განმავლობაში ჟურნალს არასოდეს უღალატია თავისი მაღალი პრინციპებისათვის — მკითხველისათვის ჩაენერგა სამშობლოს სიყვარული, სიყვარული არა ლოზუნგებით, არამედ საქმით, რომ მამულის სიყვარული მის სასიკეთოდ სამსახურშია. მოზარდს ვუნერგავდით მოყვასის სიყვარულს, რადგან ყველაფერი საუკეთესო და ამაღლებული ადამიანში იბადება მხოლოდ და მხოლოდ ადამიანისა და სიცოცხლის სიყვარულით. ჟურნალი მკითხველს ესაუბრებოდა შრომისა და შემეცნების სიხარულზე, მომავლის პროფესიებზე, მეცნიერებისა და ტექნიკის სიახლეებზე. როგორც კეთილი მეგზური, სამომავლო გზის განჭვრეტაში, წინ გახედვაში ეხმარებოდა.

დიდი ვაჟა ბრძანებდა: ვინც ბალღებს კეთილგონივრად ზრდის, იგია აღმზრდელი და გამაბედნიერებელი ერისა, ვინაიდან სიყრმის დროს დათესილი თესლი დიდობაში უხვად გამოიღებს ნაყოფსო.

ვგონებ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ჩვენს ჟურნალს წარსულშიც და დღესაც მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა და შეაქვს ერის გაბედნიერების სამომავლო საქმეში.

ვუსურვებ ჟურნალს და მის მკითხველებს ბედნიერებას, სიკეთეს, წარმატებებს. ქვეყნის ხვალინდელი დღის საიმედო ბურჯად ჩამოყალიბებაში.

*ბ. შელია,*
*„ნაკადულის" ყოფილი რედაქტორი.*

## ნუ მოვაკლებთ „პურს არსობისას"

შეიძლება გაგიჭირდეს, ფაბრიკა-ქარხნები გააჩერო, მაგრამ მერე გაგიჩნდეს საშველი და აამუშაო.

შეიძლება გზა ვერ მოაპირკეთო, მაგრამ ოღრო-ჩოღროზე, ორწოხებზე იარო.

შეიძლება ვერ მოხნა და დათესო, მაგრამ შემდეგ, როცა დაამუშავებ, უკეთეს მოსავალს მიიღებ. შეიძლება...

როცა უსაშველო გაგიჩნდება, ალბათ ყველაფერი შეიძლება.

მაგრამ არ შეიძლება ბავშვს თავზე ხელი დააჭირო და უთხრა: ნამეტანი მიჭირს, ერთხანს არ გაიზარდო, მაცალე მოვმჯობინდები და მერე ტანი ერთბაშად აიყარეო.

არ შეიძლება!

ბალღს ყველაფერი რომ მოაკლდეს, სულიერი საზრდო — არამც და არამც... რაც მას ამ მხრივ დააკლდება — ხვალინდელ საქართველოს დააკლდება.

ვულოცავ „ნაკადულს" სამოცდაათი წლისთავს და ვუსურვებ: კვლავაც, როგორმე, რამენაირად, შავი პურის ლუკმა გამოვიღლოთ პირიდან და ჩვენს ყმაწვილებს ნუ მოვაკლებთ „პურს არსობისას".

*ოტია იოსელიანი,*
*მწერალი*

## დღეგრძელი ყოფილიყოს!

ჩემი ბავშვობის ლამაზი დღეები, სიხარულით ათრთოლებული გული, როცა მორიგი ნომერი გამოიღიმებდა სხვა ჟურნალ-გაზეთებიდან. ყოველთვის საქმიანი, იმედიანი, ხალისიანი ჟურნალი „პიონერი", უდიდესი შრომა შემოქმედებითი კოლექტივისა, კარგის ქმნის სურვილი და კარგის კეთება.

აი უკვე 70 წელი გავიდა და კვლავ ძველებური შემართებით იღწვი და იწვი, ახლა უკვე ნათლობის ახალი სახელით „ნაკადული".

ჟურნალი „ნაკადული" — ლამაზი განზრახვა და სურვილი მის შემოქმედთა, ნაკადულივით წმინდა მკითხველისათვის განკუთვნილი, ლამაზი აზრი და ფიქრი ლამაზ ფორმაში განცხადებული.

ჟურნალი „ნაკადული" — ჯანსაღი ფესვებით, საკუთარი ხელწერით, ლაღი და თავისუფალი ნააზრევით, სწორი გზისმკვლევი მისი ერთგული მკითხველისა.

ჟურნალი „ნაკადული" — სახეცვლილება „პიონერისა"? არა დროის მაჯისცემით მფეთქავი, მის ფურცლებს ნისლოვანებად გადაკრული დარდი და სევდა ჩვენი შეჭირვებული ხალხისა, იმედის სხივი, უკეთესი ხვალინდელი დღის მოლოდინით გასხივოსნებული.

დიახ. დღევანდელ საოცრად ჭრელ პრესაში სწორედ რომ გამოირჩევა „ნაკადული". გადაფურცლავ და დამშვიდდები, ერთხელ კიდევ დარწმუნდები ქართული სიტყვის ძალასა და მადლში.

მადლობა და შემოქმედებითი წარმატებები „ნაკადულს".

დღეგრძელი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ყოფილიყოს იგი მისი მკითხველისათვის!

*ელისო ანჯაფარიძე,*
*თბილისის მე-10 სკოლის დირექტორი*

## მეგობართა და თანამდგომთა გამრავლებას გისურვებთ!

ვულოცავ ჟურნალ „ნაკადულს" 70 წლისთავს და მრავალჟამიერ სიჭაბუკეს ვუსურვებ მას.

„ნაკადულის“ დღეობა ღირსსახსოვარი დღეა მთელი ქართველი ყმაწვილობისათვის, ყველას მშობლებისა და აღმზრდელებისათვის. ვინ მოთვლის, რამდენი მოზარდი დასწაფებია სულიერ საზრდოს ჟურნალის ფურცლებზე, რამდენისათვის ყოფილა იგი კეთილგონიერი მოძღვარი, რამდენი დაკვალიანებულა ცხოვრებაში მისი წყალობით, რამდენს გაუნდვია მისთვის თავისი გულისნადები.

ვუსურვებ ჟურნალს მკითხველთა ახალი თაობების სიყვარულს, ნდობას, მეგობართანამდგომთა გამრავლებას, მზრუნველ-მოამაგეთა დღეგრძელობას და ახალ შემართებას, რომელიც ასე საჭიროა ახალ გზაზე სასიარულოდ, მთელ ქვეყანასთან ერთად რომ დაადგა ჟურნალი! მჯერა, რომ „ნაკადული“ კვლავაც გაგვახარებს თავისი ნაღვაწით.

*ნაირა ალავერდაშვილი,*
*საქართველოს ბავშვთა საერთაშორისო ფონდის თავმჯდომარე*

## რაც გამახსენდა

როდესაც პირველად მოვხვდი „პიონერის“ რედაქციაში, თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი ვიყავი. მაშინ იგი ჟურნალ „დილას“ და გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქციებთან ერთად მდებარეობდა პლეხანოვის, აწ აღმაშენებლის გამზირზე. რედაქტორი რევაზ მარგიანი გახლდათ, მის გარდა რედაქციაში მუშაობდნენ მურმან ლებანიძე, ნაზი კილასონია, სიმონ შამფრიანი, ზურაბ ლეკაშვილი, გაიოზ ფოცხიშვილი. ეს რედაქცია ჩემთვის მეორე სასწავლებელი იყო, აქ გავიცანი არა ერთი გამოჩენილი მწერალი, პოეტი თუ მხატვარი, მათთან ურთიერთობამ ძალზე ბევრი რამ შემძინა.

ყოველთვის დიდი სიხარულითა და მოწიწებით ვაღებდი ხოლმე მხატვრის, ბატონ გაიოზ ფოცხიშვილის ოთახის კარს, სადაც ღიმილიანი მასპინძლის გარდა მუდამ იჯდა ხოლმე ან პოეტი, ან ჟურნალისტი, ან სხვა მხატვარი, ფოტოგრაფი თუ ვინმე მეგობარი. როგორც საერთოდ ყველა რედაქციაში, აქაც მხატვრის ოთახი განსაკუთრებით მიმზიდველი იყო. აქ მარტო საქმეზე კი არა, უბრალოდ სასაუბროდ ან სიგარეტის მოსაწევადაც შემოდიან, იატაკი თითქმის ყოველთვის მოფენილია ფოტოების ჩამონაჭერი ნაკუწებით, მაგიდასთან მხატვარი ზის და ნახატს თუ შრიფტს ჩაჩკირკიტებს, კედელზე სურათებია. იქვე, სკამზე ვიღაც ზის და უეჭველად რამეს ჰყვება — ასეთი გახლავთ სურათი, რომელსაც უთვალავჯერ შევსწრებივარ მაშინდელი „პიონერის“ რედაქციაში. სხვათაშორის აქ გავიცანი შესანიშნავი მხატვარი და მოქალაქე რევაზ ცუცქირიძე, რომლის უმაღლესი დონის ნამუშევრებიც დიდხანს ამშვენებდა ჟურნალის ფურცლებს, რომელი ერთი ჩამოვთვალო, რომელი გავიხსენო... როცა რაიმეს იგონებ, თავიდან გეჩვენება, თითქოს არაფერი გაქვს მოსაგონარი, მაგრამ როდესაც დაფიქრდები, იმდენი რამ წამოტივტივდება, რომ აღარ იცი, რომელს მიხედო... ერთ ეპიზოდს გავიხსენებ.

ზემოთ მოგახსენეთ, რომ იმხანად ჟურნალში მუშაობდა ცნობილი პოეტი ნაზი კილასონია. ერთხელაც გადავწყვიტე, მისი პორტრეტი დამეხატა და როცა მისი თანხმობაც მივიღე, ავიღე ჩემი დასაკეცი მოლბერტი, გადაჭიმული ტილო, ფერების ყუთი და თბილისის ერთ ძველ ქუჩაზე, პატარ ძველებურ ეზოში მივადექი კილასონიების ოჯახს. შინ ნაზი და დედამისი დამხვდნენ. სამუშაოდ ნათელი შუშაბანდი ავარჩიე, ტილო მოლბერტზე დავამაგრე და მოვინდომე მენატურე ისე დამესვა, რომ პორტრეტის დასახატად მოხერხებული და საინტერესო ყოფილიყო. რაღა დაგიმალოთ და, პირდაპირ გავწამდი. ნაზი ძალზე მოუსვენარი მენატურე აღმოჩნდა. ხან ადგებოდა, ხან პაპიროსის მოწევა მოუნდებოდა, ხან რაღაცას მეკითხებოდა, ერთი სიტყვით, თავ-ბედი მაწყევლინა, მაგრამ რას ვიზამდი... ორიოდ საათის წვალების შემდეგ პორტრეტი რაღაცას დაემსგავსა, ნაზის დედა გახარებული იყო და ცალი თვალი ნახატისაკენ ეჭირა, ჩემზე ესეც მოქმედებდა, ახლა კიდევ იქვე, სამზარეულოში ხაჭაპურების ცხობა დაიწყო, მერე ნაზის მამაც შემოგვესწრო და რაღა თქმა უნდა, სეანსი გემრიელი სუფრით დამთავრდა. მომავალ კვირასაც თითქმის იგივე განმეორდა, მესამე კვირა წინა ორს ჰგავდა, ვერ გეტყვით, რამდენი გემრიელი ხაჭაპური გეახელით კილასონიებთან, ერთი რამ კი ცხადი იყო — პორტრეტი არ მომწონდა, ავდექი და ტილოდან ჩამოვფხიკე და რაც დარჩა, იმით უფრო კმაყოფილი ვიყავით მეც და მგონი, თვითონ ნაზიც. ბოლომდე ასე დაუმთავრებელი დარჩა ის პორტრეტი. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე შემხვდა ნაზი ქუჩაში და მითხრა, შენი დახატული პორტრეტი ახლაც კედელზე მიკიდიაო. ვინ იცის, ახლა სად არის იგი... ულმობელმა დრომ ბევრი რამ წაშალა, აღარ არის ჩემი გულთბილი მასპინძლის ის ლამაზი ოჯახი, აღარ არიან ბევრი სხვანიც, ვინც „პიონერის“ რედაქციაში გავიცანი, მაგრამ, ბუნებრივია, ცხოვრება გრძელდება, სხვები მუშაობენ, სხვები იყრიან თავს აწ უკვე „ნაკადულად“ წოდებულ საყმაწვილო ჟურნალში, ის სულისკვეთება, ავტორების, მხატვრების, ნაცნობ-მეგობრების გულთბილი შეხვედრის ატმოსფერო კი ისევ ისე უცვლელად სუფევს და ეჭვი არ არის, რომ ასე იქნება მუდამ.

*ედუარდ ამბოკაძე,*
*მხატვარი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფაცეტიები

პოჯო იტალიელი მწერალია, ის დაიბადა 1380 წელს. გარდაიცვალა 1459 წელს. მან რამდენიმე წიგნი დაწერა, მაგრამ მათში ყველაზე შესანიშნავია „ფაცეტიები“. ეს წიგნი ლათინურ ენაზეა დაწერილი და 1452 წელს გამოიცა. სიტყვა „ფაცეტია“ ნიშნავს დაცინვას, ხუმრობას, მოსწრებულ სიტყვას. რუსულად „ფაცეტიები“ 1934 წელს გამოიცა. ქვემოთ ვათავსებთ პოჯოს რამდენიმე ფაცეტიის თავისუფალ თარგმანს. ზოგმა მათგანმა გადალახა იტალიის საზღვრები და სხვადასხვა ქვეყანაში გავრცელდა.

## ფაჩინო კანე და მომჩივანი

ფაჩინო კანე[1] ძალიან ულმობელი ადამიანი იყო და ამავე დროს შესანიშნავი სარდალი. ერთხელ მისი ჯარისკაცი ქუჩაში დახვდა ერთ მოქალაქეს და პლაშჩი წაართვა. დაზარალებული მივიდა ფაჩინოსთან და შესჩივლა: ქუჩაში დამხვდა თქვენი ჯარისკაცი და პლაშჩი წამართვაო.

ფაჩინომ ახედ-დახედა მომჩივანს, რომელსაც კარგი ქურთუკი ეცვა, და ჰკითხა:

ეს ქურთუკი გეცვა თუ არა, როდესაც პლაშჩი წაგართვესო?

დიახ, ეს მეცვაო, უპასუხა მომჩივანმა.

გასწი აქედან! პლაშჩის წამღები ჩემი ჯარისკაცი არ არის: არც ერთი ჩემი ჯარისკაცი არ შეგარჩენდა მაგ ქურთუკსო, დაუყვირა ფაჩინომ.



## ვიჩენცელი მევახშე

ვიჩენცაში ერთ ბერს დიდ პატივს სცემდნენ. ის ხშირად ქადაგებდა ზნეობრივ სიფაქიზეზე.

ერთი მევახშე მას ხშირად ეუბნებოდა: ჩვენს ქალაქში ძალიან გავრცელებულია მევახშეობა. გთხოვთ უქადაგოთ ხალხს, რაც შეიძლება მკვეთრად, ყველურად გალანძღოთ მევახშეები და დაჰგმოთ მევახშეობაო.

იმდენჯერ სთხოვა ბერს მევახშემ ამის შესახებ, რომ თავი მოაბეზრა. ერთხელაც ბერმა ჰკითხა:

ასე თავგამოდებით რატომ მთხოვ მევახშეობის დაგმობას, მევახშეო, ხომ შენი ხელობაა, შენ ამით ირჩენ თავსო.

მაშინ მევახშემ მიუგო:

ჩვენს ქალაქში ბევრი მევახშეა და ჩემთან ცოტანი მოდიან ფულის სასესხებლად. თუ შენი ქადაგება ბევრს დაარწმუნებს და ისინი ხელს აიღებენ მევახშეობაზე, მაშინ მათი შემოსავალიც ჩემ ჯიბეში მოხვდებაო.



1) XV საუკ. იტალიაში იყვნენ ე. წ. კონდოტიერები, დაქირავებული რაზმების უფროსები. ფაჩინო კანე ერთ-ერთი ასეთი რაზმის უფროსი იყო.

„პიონერი“ 1939 წ. №2

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტკბილი მოგონება

პ. შარაბიძე

სასულიერო სასწავლებლის მესამე კლასში ვიქნებოდი მაშინ; მამაჩემი მოვიდა თუ არა სახლში (არდადეგები იყო), ჯერ ჩვენ გვახარა, მერე მეზობლებში გამგზავნა სათქმელად: ამა და ამ დღეს აკაკი მოდის რაჭაში და ქუდზე კაცი დავხვდეთ ამოვლისასო. ყველა აღფრთოვანებამ მოიცვა. მე დედაჩემმა მირჩია, რომ იმ დღისათვის სოფელ წესში წავსულიყავ ნათესავებთან, რადგანაც მოსალოდნელი იყო, აკაკი წესის მახლობლად ბარაკონში, როსტომ ერისთავის ნამოსახლზე, უფრო მეტ ხანს დაჭყოფდა, ვიდრე რიცეულზე, და მეც გავსწიე წესისაკენ. ყველამ თურმე იცოდა აკაკის მოლოდინი. გრძნობდნენ და განიცდიდნენ.

იმ დღეს წესში ელბაქიძეების სტუმარი ვიყავი და დანიშნულ დროს დურგალმა გიორგი ელბაქიძემ მაჯაში წამავლო ხელი, გამიძღვა წინ და ბარაკონისაკენ წამაძუნძულა: გვაგვიანდებაო. გზაზე აკაკის ლექსებს მაამბობინებდა და თვითონაც ამბობდა. მივედით ბარაკონში, შამადავლე ერისთავის სამოსახლოს მიდამოებში. ეს ადგილი წესიდან ონამდე სამი ვერსით იყო დაშორებული. რიონის მარცხენა მხარეზე, გზატკეცილიდან მარჯვნივ, ტაფობისებურ ჭალაზე დგას ხის ძველი ქართული სტილის რიკულებიანი და თაღებიანი ოდა-სახლი. ირგვლივ თვალუწვდენელი ვენახები და სათიბები აკრავს, გზისპირთან კი ციხის ნანგრევები; მის იქითა მთებიდან კიდევ კოშკები დასცქერს ამ ადგილს. აი, იმ ადგილებში შეგროვილიყო უამრავი ხალხი. იქედან ზოგი სოფელ კვაცხუთისაკენ დაიძრა დასავლეთით, ე. წ. ხიდისკარს. ეს ხიდისკარი დარიალის ხეობას მოგაგონებთ ერთის შეხედვით, მასზე უფრო ვიწროა და ისეთივე მიუვალი. აქეთ-იქით თვით კლდეთა გამოქვაბულში ციხე-კოშკებია სათოფეებით. იგი რაჭის მფლობელის როსტომ ერისთავის სიმაგრეს წარმოადგენდა. იმ ადგილისაკენ გასწია ხალხმა და გიორგისთან ერთად მეც იმ ხალხს გავყევი. ყველას საზეიმო იერი ჰქონდა და მეც მიხაროდა, რომ აკაკის შორიდან მაინც დავინახავდი. მართლაც, საშხრობისას ეტლები მოადგა ხიდისკარს. ხალხმა იგრიალა და ეტლებს მისცვივდნენ. გავიხედე, აკაკი აუყვანიათ ხელში. მოჰყავთ „ვაშას“ ძახილით და ტაშის გრიალით. აკაკიმ შესვენება ითხოვა. გულმოდგინედ დაათვალიერა ხიდისკარის ვიწრო მიდამოები, გაღმა მდებარე აბანოები და მერე ბარაკონისაკენ განაგრძეს გზა. აკაკის ეტლი ნელა მიდიოდა და ჩვენ ხშირად ოვაციებს ვუმართავდით მხცოვან მგოსანს. არ მეგონა, თუ აკაკის ნახვას, და ისიც ასე ახლო, ოდესმე ველირსებოდი. არც მახსოვს ჩემს ბავშვობაში მსგავსი ზეიმი რაჭველებისა.

მივედით ბარაკონს. იქ შეისვენეს მგზავრებმა. ეტლებმა გზატკეცილიდან მარჯვნივ გაუხვიეს. შამადავლე ერისთავის სახლის გრძელი აივნის სიგრძეზე რაჭული სუფრა გაეშალა ხალხს. ეზოში უამრავი ხალხი იყო. მე ვცდილობდი აკაკისთან ახლო ყოფნას. წინ ვეჩრებოდი და პირდაღებული ვაცქერდებოდი მგოსნის სპეტაკ სახეს და წვერ-ულვაშს. თვითეული სიტყვის გაგონებას ვცდილობდი. დასხდნენ. ახლა მორცხვი შევიქენი: არ იფიქრონ მეთქი, თითქოს საჭმელისათვის ვარ ატუზული. მოშორებით დავდექი, კედელს მივეყრდნე და ისე დავუწყე ცქერა აკაკის. პატარა ხანს უკან მგოსანმა თითით მანიშნა მოდიო.

მივედი.

— ქისი შვილი ხარ, ბიძიკო?

— ეს, ბატონო აკაკი, ვასილ შარაბიძის შვილი გახლავთ,—დამასწრო გიორგიმ პასუხი.

— მართლა, ყმაწვილო?

— დიახ, ბატონო.

— ძალიან სასიამოვნოა. ეს მითხარი: პეტრე შარაბიძეს იცნობთ?

მე თავი დავღუნე და ვიღიმები. სიჩუმე ჩამოვარდა. მე გახლავართ მეთქი,—ვუპასუხე, როდესაც ჩემს ხელნაწერს მგოსნის ხელში მოვკარი თვალი. იგი ჩემს მიერ ჩაწერილ „ღვდლის შვილს“ ათვალიერებდა. აღარ მახსოვს, როგორ მოხვდა აკაკის ხელში ჩემი რვეული. იმ ხანებში ცალკე რვეულში ვიწერდი რაჭულ ზღაპრებს. ზღაპარი „ღვდლის შვილი“ დედაჩემმა ჩამაწერინა. იმ რვეულს ყოველთვის თან დავატარებდი.

— კარგი გამართული ენით ჩაგიწერია, ბიჭიკო. არ დააგდო კალამი. ეს კარგი საქმეა... მერე დი შენ საიდან იცი ამ ზღაპრების მნიშვნელობა?

მგონი ნინო ნაკაშიძეზე ვუთხარ, იმან დაგვავალა მეთქი.

— ჩემის აზრით, ამისთანა რამ ბავშვისათვის ნაადრევია,—თქვა გიორგიმ.

— რუსეთის გამოჩენილი მოღვაწე დობროლუბოვი ამის ტოლა იქნებოდა, როდესაც ჰორაციუსი თარგმნა,—თქვა აკაკიმ.

— თქვენი სახელი?

— გიორგი, ბატონო, გვარად ელბაქიძე.

— ჩემო გიორგი, უნდა მოგახსენოთ, რომ დღეს ნასიამოვნები დავრჩი რაჭის ნახვასთან ერთად მით, რომ ვინც რაჭული ზღაპარი მასწავლა, იგი ამ წუთს გვერდზე მყავს მიხუტებული.

გიორგის სახეზე სიამოვნება ამოვიკითხე.

— ახლა მე უნდა ვასწავლო მას მაგისთვის უცნობი ზღაპარი. მხოლოდ, ბიძიკო, რა წიგნებს კითხულობ შენ?

— „ნაკადულსა“ და „ჯეჯილს“ მუდამ ვკითხულობ და ქართველ მწერლებში ილიასა და აკაკის ვეტანები.

— ხა, ხა, ხა!—გადაიხარხარა აკაკიმ.—ლადო, ლადო, უყურე, უსმინე ამ ვაჟს, მოუსმინე და მერე მიშველე, კაცო, არ გესმის?

— რას მიბრძანებთ, პატივცემულო აკაკი?— გადმოვიდა მისკენ მისი თანამგზავრი.

— რა და ეს ბიჭი მეტანება, ჩამომაშორე.

ლადო მიხვდა, რომ აკაკი ოხუნჯობდა. ყველანი იცინოდნენ. მე თავჩაღუნული ვიყავი.

— ყმაწვილო,—მომმართა ლადომ,—მოგზაურობანი არ გაინტერესებს?

— როგორ არა. მე ფრიტიოფ ნანსენის მოგზაურობასაც ვკითხულობ.

— ამ დღეებში, ქუთაისს დავბრუნდები თუ არა, გამოგიგზავნი „აკაკის მოგზაურობას რაჭა-ლეჩხუმში“.

მერმე შევიტყე, რომ ის ლადო ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ლადო ბზვანელი იყო, გვარად ნაცვლიშვილი.

— ლადო, ამ ყმაწვილს მე ზღაპარს დავპირდი, მოდი, ჩემო მკითხველო,—მიმიყვანა აკაკიმ და ისევე გვერდით მიმიხუტა,—იყო ერთი კურდღელი,— დაიწყო აკაკიმ და მე სმენად გადავიქეცი.

— მივიდა კურდღელი მელა-კუდასთან და შესჩივლა: მე უბედური ვარ, ყველა მაშინებს, მე კი ვერავინ შევაშინეო. „შე კაი კაცო, შენა“—უთხრა მელა-კუდამ,—თუ არ მოიფიქრე, აბა, ვის შეაშინებ გაიქეცი ჩქარა, ეგერ მეცხვარე ფარას მოერეკება, შენ ბუჩქებში დაიმალე, ფარა რომ ბუჩქებს მიუახლოვდება, წამოხტი და ისკუპე, ცხვრები დაფრთხებიან. შენის თვალებით შეხედავ შენს შეშინებულებსო. კურდღელი მართლაც ასე მოიქცა. ცხვრებმა რომ ბუჩქებს მიაღწიეს, წამოხტა და ისკუპა. ცხვრები დაფრთხნენ. კურდღელი იცინის, იცინის, კვდება სიცილით. სიცილით რომ მოიქანცა, შინ წავიდა, სარკეში ჩაიხედა და დაინახა, რომ ნამეტანი სიცილით პირი გახეოდა.—ხა, ხა, ხა!—ვხარხარებთ მსმენელები. მერმე აკაკი შემეკითხა:

— რომელმა ადგილმა გამოიწვია შენში სიცილიო?

— კურდღელს სარკე საიდან ექნებოდა, ჯერ ეს ერთი. მეორეც, თითქოს მართალს შგავს ეგ ზღაპარი: კურდღელს პირი თითქმის ყურებამდე აქვს ახეული.

ბევრი ვიმხიარულეთ. აივანზე ლხინი გრძელდებოდა. ადიდებდნენ აკაკის. აკაკი კი მისთვის განკუთვნილ ოთახში იყო და ისვენებდა. საინტერესოა იმ დღის შემდეგი ამბავი: აკაკიმ მოხუცებს სთხოვა, ეამბნათ იმისთვის რაიმე როსტომ ერისთავის შესახებ. გიორგი ელბაქიძემ „პეტრიკელა მედავითნის ამბავი“ მოუთხრო. აკაკი უაღრესი ყურადღებით უსმენდა. ხან გადაიხარხარებდა, ხან მოიღუშებოდა. როდესაც გიორგიმ მოათავა, აკაკი ერთხანს დადუმებულივით იყო. მერმე მოთხრობას თავისებური დასკვნა გაუკეთა, გიორგის მადლობა გადაუხადა და მე მთხოვა იმ ამბის ჩაწერა. თუ მომაწვდი, კარგი იქნებაო, თუ არა და „ჯეჯილს“ გადაუგზავნეო, მერმე კი ვიტყვიო,—თქვა მგოსანმა ხაზგასმით, რომ რაჭაში ჩემი მოგზაურობა—ეს იყო ჩემს პირად ცხოვრებაში თითქმის ყველა მოვლენის თანაბარიო.

მეორე დღეს აკაკი ონისაკენ გაემგზავრა. იქ ხალხთან საუბრისას აკაკიმ სიტყვაში თურმე აღნიშნა: უნდა გითხრათ, რომ მე ისეთი დიდი ადამიანი არა ვარ, რაც პატივი და დიდება მივიღე აქ თქვენგან. თქვენ მოგევლინებათ ისეთი პიროვნება, რომელიც იხსნის ხალხს გაჭირვებისაგან. მეც აღტაცებული ვარ თქვენის სიმხიარულის გამო, იმიტომ კი არა, რომ ეს მე გამოვიწვიე, არამედ იმიტომ, რომ გამოღვიძება გეტყობათ. არა ხართ კმაყოფილნი აწმყოთი და ესწრაფვით მომავალს. თქვენ გინდათ გყავდეთ წინამძღოლი. მე მისი აჩრდილიც არა ვარ. ის გმირი, რომელმაც ჯაჭვი უნდა გასწყვიტოს, სხვა არის. ის მოგევლინებათ თქვენ ახალი მოდგმისაგან... მე კი დამრჩენია გულში ჩავიკრა თქვენი სიყვარული...



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სერ პატრიკ სპენსი



## შოტლანდიური ხალხური ბალადა

ქალაქ დუნფერლინს დამჯდარა მეფე,
მეწამულ ღვინოს მიირთმევს მარტო
„ნეტავ თუ სკიპერს ვიშოვი ისეთს,
ჩემი ახალი ხომალდი ვანდო?“
მის ფერხთით მარჯვნივ მჯდარი რაინდი,
ხანში შესული, წამოდგა მაშინ:
„სერ პატრიკ სპენსი აჯობებს ყველას,
ვისაც ოდესმე უვლია ზღვაში“.
მეფემ დასწერა იქვე წერილი,
ხელით ბეჭედიც დაადო სწრაფი,
და გაუგზავნა იგი სერ პატრიკს,
მშვიდად მოარულს ზღვის ნაპირ-ნაპირ.
„ნორვეგიისკენ, ნორვეგიისკენ,
აქაფებული ტალღების ზემოთ,
რომ ნორვეგიის მეფის ასული
აქ მოგვიყვანო, სერ პატრიკ ჩემო!“
პირველ სიტყვაზე სამხიარულო
სიცილი მორთო მან მთელი ძალით,



მაგრამ ბოლომდე რომ ჩაიკითხა,
სერ პატრიკს ცრემლით აევსო თვალი.
„ვინ ჩაიდინა ეს ბნელი საქმე,
მეფის წინაშე ვინ გამცა ასე?
წლის ამ დროს ცურვა ვინ გაიგონა,
ვინ გაიგონა მგზავრობა ზღვაზე?
მაგრამ თუნდ იყოს ქარი და სეტყვა,
აქაფებული ღელავდეს წყალი,
ვალდებული ვართ მოვგვაროთ მეფეს
ნორვეგიიდან ჩვენ სეფე ქალი!“.
ორშაბათ დილით ახალ ხომალდზე
თეთრი აფრები აღმართეს მძაფრად
და ნორვეგიის სანაპიროზე
ოთხშაბათს დაბლა დაუშვეს აფრა.
გავიდა კვირა, შემდეგ მეორე,
რაც ნორვეგიას დადგნენ მგზავრები,
და ნორვეგეთის დიდებულებმაც
მათს გასაგონად სთქვეს გაჯავრებით:
„სკოტლანდელებო, ნუ დაგვიხარჯეთ
მთელი სიმდიდრე მეფის ქონების!“
„ნუ სცრუობთ ურცხვად, მატყუარებო,
თქვენი სტუმრები ნუ გეგონებით!
იმდენი ვერცხლი მოგვიტანია,
რამდენიც ყველამ ავწიეთ ერთად,
წითელი ოქროც გვქონდა ხომალდში,
ისიც ზღვების გზით მოვიდა თქვენთან.
ახლა ემზადეთ, ჩემო ბიჭებო,
ზღვაში გავიდეთ ხვალ დილით ადრე!“
„უფრთხილდი ამინდს, ჩემო ოსტატო,
ზღვა გზაში ხიფათს ადვილად გვკადრებს!
წუხელაც მთვარე ვნახე ახალი
ხელში ეჭირა ბებერი მთვარე.
ჩვენ რომ გავიდეთ ზღვაში, ოსტატო,
ვშიშობ, შეგვხვდება ხიფათი მწარე“.
ძლივს გაიარეს ერთი და ორი,
ძლივს გაიარეს სულ სამი ლიგი —
ავარდა ქარი, ზღვა დადგა ყალყზე,
დაბნელდა არე ხომალდის ირგვლივ.

დაიმსხვრა, ლუზა, გადატყდა ანძა,
წყალმა დუღილი დაიწყო გემთან,
დამტვრეულ ხომალდს ქარი ტალღებით
გახეულ გვერდში უწყალოდ სცემდა.
„ნეტავ თუ ვნახავ ისეთ მეზღვაურს,
ეს ჩემი საჭე აიღოს ხელში?
მინდა ავიდე მაღალ ანძაზე,
იქნებ ნაპირი ვიპოვო ბნელში“.
„მე ვარ, აქა ვარ ის მეზღვაური,
შენს საჭეს მტკიცედ ჩავჭიდებ ხელებს,
ადი ანძაზე, მაგრამ ამაოდ,
ვიცი, დაუწყებ ძიებას ხმელეთს“.



ვერც კი მოასწრო ფეხის გადადგმა —
ხომალდს ღელვისგან შეხვდა ზიანი;
დაარტყა ტალღამ, გაიხსნა გვერდი,
შიგ ზღვა შევიდა მარილიანი.
„აქეთ ქსოვილი აბრეშუმისა,
შალის ნაჭერიც ჩაუდეთ იქით,
გახსნილი გვერდი დავხუროთ სწრაფად
არ შემოუშვათ მლაშე ზღვა შიგნით!“
აბრეშუმის და შალის ნაჭრები,
სადაც ზღვა სცემდა, მიზიდეს იქით,
ხომალდს საცობით დაუცეს გვერდი,
მაგრამ ზღვა მაინც შევიდა შიგნით.
არ დაუსველდათ ჩვენს სკოტლანდელებს
კორპის საძირე და ქუსლი მარტო,
იმათ ქუდებზე ზღვამ თამაშობით
თავის ტალღები გაშალა ფართოდ.
ბევრი ნაოსნის ფრთიანი ქუდი
მოთამაშე ზღვის ქაფმა შებურა,
სკოტლანდის ბევრი აზნაურის ძე
სკოტლანდში აღარ დაბრუნებულა.
და დაიმტვრია თეთრი ხელები
მრავალმა სასძლომ, მრავალმა დედამ,
თავის სიყვარულს ამიერიდან
ველარასოდეს ნახავენ მეტად.
ო, დიდხანს, ხელში მარაოებით
მათ მოუხდებათ ჯდომა გუნდებათ,
ვიდრე მამაცი სერ პატრიკ სპენსი
ზღვების გზით ნაპირს დაუბრუნდება!
და დიდხანს, დიდხანს ენთება თმებში
სავარცხელები ზღვის პირის კიდეს,
დაელოდება თავის სიყვარულს,
მაგრამ ვერასდროს იხილავს კიდევ.
აბერდინიდან სულ ორმოც მილზე
გმირებს ზღვის ფსკერზე დაფლულებს
შევხვდით —
იქ წევს მამაცი სერ პატრიკ სპენსი
და მისი რაზმიც—მისივე ფერხთით.

**სთარგმნა ინგლისურიდან**

**გივი გაჩეჩილაძემ.**

---

**გიორგი კაჭახიძე**

## მამის სხივი

მამას მოელის მანანა —
ნორჩი პატარა ქალი,
გულამღერებულს ჭიშკრისკენ
მიპყრობილი აქვს თვალი;
ოცნების ფრთებით დააფრენს
შუქი მზისა და მთვარის.
მე ჩუმად ვუმზერ მზის ბრწყინვას,
ღამით — ვარსკვლავთა ციმციმს,
ვჩურჩულებ: სად გავიგონებ
მამის ხმასა და სიცილს!
ის ანაპასთან, ზღვის პირად,
წევს განგმირული, ვიცი.
მაინც ჩვენს ეზო-გარემოს
არ ებურება ნისლი:
ეზოში მამის სხივია,
მაინც მამის ხმა ისმის...
ზოგჯერ ვენახში ფრიალებს
თეთრი პერანგი მისი.
გათენებისას ილვიძებს,
ადრე ყანაში მიდის,
გვიან ბრუნდება, ნაშრომით
კმაყოფილი და მშვიდი;
ეზოს კარს ერთად აღებენ
ის და საღამოს ბინდი.
კვლავ იხსენება სოფელში,
როგორც ვაჟკაცი ერთი,
გულით და საქმით რჩეულებს
მისი სახელიც ერთვის;
არ ველოდები მამილოს;
იგი შინ არის ჩვენთვის!

„პიონერი“ 1945 წ. № 5

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხელი

შენ ბარათს რომ დავაკვირდი,
შვილო, სულ არ მომეწონა.
ეს რა არის? როგორია ნაწერი?
ასოა თუ ფარხის კონა?

„ა“ „ე“-ნსა ჰგავს, „ზ“-ანს „კა“ „მანი“,
„რ“-ს არ ჰხურავს თავსახური.
თითქოს ურემს გადაუვლიოს,
მჭლეე არის და უსახური.

ზოგი ასო უთოსა ჰგავს,
ზოგი კიდევ ჩიტის ბუდეს,
და მოყრილი სტრიქონები —
ძველი სახლის ახლაბუდეს.

ო, ჩვენს ქართულ ხელთნაწერებს,
რა სჯობია, აბა, მითხარ?
წაკითხვაც რომ არ გინდოდეს,
დაგაწყებს წასაკითხად.

ამიტომაც, ვიდრე, შვილო,
მოსწავლე ხარ, ახალგაზრდა,
უნდა ლამაზ წერით შესძლო
შეჯიბრება ლამაზ ასოთან.

უნდა წერას დაეუფლო
ურბილესს და ულამაზესს,
უნდა ბევრი იმუშაო
ქართულ ხელის ჩუქურთმაზე.

ი. [signature]

„პიონერი“ 1947 წ. №10

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „ნ ა კ ა დ უ ლ ი“

## ნინო ნაკაშიძეს

აი, ეს ძველი ჟურნალი,
ჟამთა სვლით გაფითრებული,
აი, დაჭორფლილ ფურცელზე
ნახატი გაყვითლებული, —
ლექსის ქვეშ გლეხის ცანგალა,
ლექსივით ჩაფიქრებული...

ნამდვილ ქუდქვეშ ჭოჭორი
ცანგალ, მოგტაცა სიოშა!
რამ ჩაგაფიქრა, ცანგალავ?
იქნება ძია შიოშა?!
იქნება დიდმა ვაჟამა?!
იქნება დიდმა აკაკიმ?!
...ჩაგესმის ფუტკრის ზუზუნი
და ღელეების რაკრაკი...

ეს, „ნაკადული“ წანწკარებს, —
ზედ გულზე გეწანწკარება,
ცანგალ, დალიეს ლაჟვარდი
მაგ თაფლისფერმა თვალებმა...
ეს, „ნაკადული“ წანწკარებს
გვიმრის და იის სურნელით —
ტკბილი ქართული ჟურნალი,
დიდედა ნინოს ჟურნალი

საით წავიდნენ, დიდედავ,
წვიმას ნატრული ტყეები!
ის ფიქრიანი ცანგალა,
ის მოდაისე დღეები!
შორს დარჩნენ... მზე ამოვიდა,
ამოერიდნენ სხვა ჟურნალები, —
შვება იგრძნეს და გაბრწყინდნენ
სიამით შენი თვალები.

დიდედავ, ჩემო დიდედავ,
შენ უტკბილესო დიდედა,
იაიებით შეგმოსეს
შენმა გულჭრელმა ჩიტებმა.
თებერვლის იაიებით
შენი ჭაღარა ბრწყინდება, —
შენი ღიმილი გვჭირდება,
შენი სიცოცხლე გვჭირდება!
მერე რა, თუკი საკოცნი
თმები წლებს შეუფიფქია!
ჯერ არც კი დაბადებულან
ჩემი ზაზა და ფიქრია, —
შენს ტკბილ კალთასთან მენახონ
სამშობლო ქვეყნის შვილები
მათი ჭკვიანი თვალებით
ლაჟვარდში გაფრენილები!

**მურმან ლებანიძე**

„პიონერი“ 1948 წ. №2

რევაზ ინანიშვილი

ნახ. ალ. ბანძელაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბ ე კ ე კ ო



— ოხ-ოხ-ხო-ხო! რა შეამკო მამაშენმა თავიანთი ქარხანა! რა შეამკო! — ეუბნებოდა პატარა თამუნიას ძია ამირანი. — ისე გამოდის, თითქოს მაგათ ქარხნის მეტს საყვირი არაფრის არ ქონდეს. ისე გამოდის, თითქოს მეკარეც მარტო მაგათ უადეთ, მოხარშულს რომ გიცნობს, ქუდი კეფაზე რომ აქვს მოგდებული, და თუ გააბრაზე, მტვრის კორიანტელს რომ დააყენებს იმ ქუდით. ისე გამოდის, რომ მაგათი ჩარხებიც სხვანაირია, ჩაქუჩებიც, ბურღებიც და გაზებიც! — ერთი ჰკითხე: ცეცხლიც ხომ არ იციან მაგათმა გაზებმა?! ერთი ჰკითხე! რა უნდა გიპასუხოს, ვერაფერსაც ვერ გიპასუხებს. გაზი — ყველგან გაზია. მაგრამ ხალხი, ხალხი სხვაა!... აი, ჩვენ, ელექტროსადგურის მშენებლები, ჩვენ სხვა ხალხი ვართ! ჩვენ, იცი, რეები ვართ?! აგერ იმ მთას ხომ ხედავ, მამადავითს რომ ეძახიან, ჩვენ რომ მოვინდომოთ, დავეძგერებით აქეთ-იქიდან, გავხვრეტთ და შენს სადღეგრძელოს, რომ შენ კარგი, ჭკვიანი გოგონა გაიზარდო, შიგ მთის შუაგულში დავლევთ. აბა! ასე ვიცით! ჩვენ რომ მოვინდომოთ, მტკვარს... ზღვა ხომ გინახავს, იბანავე კიდეც არა?! ეგ ზღვა როგორ გაჩნდა თუ იცი! ჩვენ გავაჩინეთ. ავდექით და მდინარე იორს აქეთ ფუკარით თავი. კლდეების ქვეშ გამოვაძვრინეთ, ხევებზე გადმოვაფრინეთ და მანდ ჩამოვაბრძანეთ შენს გასახარად. ჩვენ რომ მოვინდომოთ, მტკვარსაც შევაბრუნებთ. აბა! ასეთები ვართ ელექტროსადგურების მშენებლები.

შენ გგონია ქარხანა ჩვენ კი არა გვაქვს?! ძალიან ცდები. იმოდენა ქარხანას არა, როგორიც მამაშენისაა, მაგრამ პატარა ქარხანას, სადაც ჩარხებიცა დგას და დაზგებიც, ჩვენ პირდაპირ ტყეში ჩავდგამთ ხოლმე — შიგ ბულბულებისა და შაშვების სამფლობელოში. მოჩუხჩუხებს ნაკადული იქვე, გალობენ ბულბულები და უსტვენენ შაშვები. ზედ სახელოსნოს წინ გაგიხსნიან მახლობელი სოფლელები ნორჩ რტოებით პირგადაკრულ კალათებს და ამოალაგებენ: სურნელოვან გულაბებს, ლამაზად დაკრეჭილ მოხარშულ სიმინდებს, წელში გამოყვანილ კიტრებს, ჩამრგვალებულ პამიდორებს. ხანდახან ბატები შემოუანყალდებიან ხოლმე, გამოუეუქჩებული ბატები, და მუსიკოსებივით დაძაბულნი უსმენენ ძრავების ზუზუნს. ხანდახან თხებიც შემოვლენ, ბაკ-ბუკ! ბაკ-ბუკ! და გაჩერდებიან გაოცებულნი — წვერებცანცარანი, რქებმოღერილნი. მეკარე, მამაშენი რომ ასე ძალიან აქებდა, არცა გვჭირდება! ჩვენ სხვანაირი ხალხი ვართ. იდგნენ ის თხები და გვიყურონ, რას გვიშლიან!

ხა-ხა-ხა! ამ თხებმა ერთი ამბავი გამახსენეს.

ერთი მოანგარიშე გვყავს, ძალიან კარგი ქალი. მაღალია და სუსტი. რომ შეუბერო, წაიქცევა. მაგრამ ისეთი გული აქვს, ისეთი გული, ცეცხლში ჩავარდნას არ დავერიდებით მისთვის. ქმარი ამ სამი წლის წინათ გარდაეცვალა. დედა ყავს და შენოდენა გოგონა, ნელი.

შესვენების დროს, სადილს რომ მოვრჩებით, დავსხდებით ჩვენი ხალხი ხან ყუდროზე, ხან ლუმელთან, ვაკნაწუნებთ მზესუმზირას და ერთმანეთს ვუზიარებთ ავ-კარგს. ეს ამას ამბობს, ის — იმას. ამას ეს ჭირდება, იმას — ის.

ერთხელ ასე ვისხედით სახელოსნოს წინ: მე, ის ჩვენი მოანგარიშე თამარი, დოროშენკო, მაჭარაშვილი და კიდევ... მგონი ლაფაური იყო, აი, შენ რომ ჯოხზე ასხმული მარწყვი ჩამოგიტანა, ის.

დოროშენკო რაღაცას ყვებოდა, ჩვენ ვიცინოდით. თამარი კი იჯდა და ჯოხით ძირს რაღაცებს ხაზავდა. მერე თავისდაუნებურად წამოიწყო: აღარ ვიცი რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე, გოგო არაფერს არ ჭამსო.

— როგორ თუ არ ჭამს! — გავოცდით ჩვენ.

— არ ჭამს. რაც არ უნდა გაუკეთო, არ ჭამს. დავადგებით მე და დედა, ძალით დავაღებინებთ პირს, კოვზს ჩავჩრით, მაგრამ არაფერი გამოდის, ტირის, წიხლებს იკვრევინება, თმებს იგლეჯს... რომ მიუშვა, ერთ ჭიქა ჩაიზე გადაივლის, ან ისიც არ გაახსენდება.

ჩვენ ერთმანეთს გადავხედეთ. ჩვენ ისეთი ხალხი ვართ, ეს ელექტროსადგურების მშენებლები, ერთ ვინმეს რომ რამე უჭირს ასე გვგონია ყველა ჩვენთაგანს უჭირდეს. ხმამაღლა არ გვიკითხავს, მაგრამ თვალებით მაინც გამოველაპარაკეთ ერთმანეთს.

— რა ვქნათ, რით ვუშველოთ ამ ჩვენს თამარს?

ერთ ხანს ჩაფიქრებული ვისხედით. მერე მაჭარაშვილმა კეფა მოიფხანა, ქუდი შუბლზე წამოიწია, ჩაეღიმა და თქვა:

— მე მომიყვანე. შენ... შენ თუ არა, დედაშენს უთხარი და ხვალ თერთმეტი საათისათვის აქ მომიყვანოს, პირდაპირ სახელოსნოში.

— რა გამოვა ამით? — ახლა კი ხმამაღლა ვკითხეთ ჩვენ.

— ნახავთ რაც გამოვა. — თქვა მაჭარაშვილმა, კიდევ ჩაიცინა, წინ წამოწეული ქუდი ახლა კეფაზე მოიგდო და წამოდგა: — თქვენ აქ მომიყვანეთ!

აბა თამარს რაღა ეთქმოდა! თუ კაცი ჰპირდებოდა გიშველიო, ისიც ელექტროსადგურების მშენებელი, იმედი უნდა ჰქონოდა, რომ რაღაცას უშველიდა.

და აი, მეორე დღეს თვითონ თამარმა მოიყვანა ის წუნია. პაკ-პუკ! პაკ-პუკ! — შემობაკუნდა თიკანივით, თითონაც თიკანს გავს, საყვარელ თიკანს — გაოცებული, წარბებაპრეხილი. შემოვიდა თუ არა, თითქოს სინათლე შემოიტანაო, ყველას სახე გაგვინათა. მაჭარაშვილმა ზეთიანი ხელები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვრით შეიწმინდა, ჩვენ თვალი ჩაგვიკრა და წინ დაუცუცქდა.

— ბეე! — დაუკიკინა თხასავით.

გოგონამ ჯერ წარბები შეკრა, მერე გაეღიმა.

— რა გქვია?

— ნელი.

— თუ ბეკეკო?

— არა, ნელი.

— ბეკეკოს კი გავხარ! ხომ გიყვარს პატარა ბეკეკოები?

ნელიმ თავი დაუქნია.

— აბა, ბეკეკო გერქვას.

შეიძლება სხვისაგან სწყენოდა პატარა ნელის. საწყენიცაა ლამაზ, ოქროსთმიან გოგონას რომ თხის სახელს დაგარქმევენ. მაგრამ მაჭარაშვილი ისეთი კაცია, ისეთი სიყვარულით უბრწყინავს თვალები, მისგან არაფერი არ გეწყინება. ნელიმაც მხოლოდ გაიცინა, და იმ დღიდან დაერქვა და დაერქვა ბეკეკო.

— იცი რისთვის დაგიბარეთ? — დაიწყო ისევ მაჭარაშვილმა. ჩვენი სახელოსნო ძალიან ჩამორჩა, გეგმას ვერ ვასრულებთ, აღარ ვიცით რა ვქნათ. იმისათვის დაგიბარეთ, რომ მოგვეხმარო. თვლა ხომ იცი!

— ასამდე.

— ოჰო, აი ეს ძალიან კარგია. მაშ აბა მოდი ჩემთან, აი, ამ ქანჩებს ხომ ხედავ, დაჯექი და ნელა-ნელა გადამითვალე.

მაჭარაშვილი ჩარხს მიუბრუნდა. ბეკეკო კი ჩაცუცქდა და იმ ახალთახალი, კრიალა ქანჩების გადათვლა დაიწყო.

დედამისი შორიდან უყურებდა და იღიმებოდა, ვიღიმებოდით ჩვენც. მაჭარაშვილი კი თვალს გვიკრავდა, ჭკუით იყავითო.

ცოტა ხანში ბეკეკო ქანჩების გადათვლას მორჩა.

— ორმოცდაცხრა არის! — წამოიძახა სიხარულით.

— ძალიან კარგი. აბა, ეხლა ესენიც მიუმატე და გადმომითვალე!

ბეკეკომ როგორღაც უნდოდ შეხედა.

— ჰო, წეღან ხომ გადამითვალე, ეხლა გადმომითვალე.

ბეკეკოს გაეღიმა და ისევ ჩაჯდა, ის გადათვლილი ქანჩები ახლა გადმოთვალა, თერთმეტიც მიუმატა და სამოცი გამოუვიდა.

მერე მაჭარაშვილმა კარადა დაალაგებინა, მერე... მერე საყვირმაც იკივლა შესვენეთ, ისადილეთო!

— აბა, ახლა ხელები დავიბანოთ! — თქვა მაჭარაშვილმა.

— ვიშრომეთ — ცოტა რამეც შევჭამოთ.

ხელები დაიბანეს.

— მომეხმარე ერთი, ეს გაზეთი გავშალოთ. შენ წადი, თამარ, ჩვენ ვიცით ჩვენი საქმისა.

— ხო, დედიკო, ხო.

გაზეთი გაშალეს.

— აბა, ახლა ჩამოვსხდეთ და ჩანთაში რა გვქვს ვნახოთ.

მაჭარაშვილმა საკიდლიდან გრძელი ჩანთა ჩამოხსნა და წინ დაიდგა.

— ეს რა არის? ეს მარილი ყოფილა მხოლოდ. დავდოთ აქ, გამოდგება. ეს? ეს... აბა, ვნახოთ.

ბეკეკო კისერს იგრძელებდა, ჩანთაში უნდოდა ჩახედვა, მაგრამ მაჭარაშვილი განგებ ისე იჭერდა, რომ ვერ მოახერხა.

— ეს რძე ყოფილა. როგორ უყურებ! შენ უბრალო ძროხის რძე ხომ არ გგონია! ხევსურულისაა, ისიც კუდვარდასი. არ დაგილევია ასეთი რძე? არა? ოჰო, რა არი, რომ იცოდე, ისიც კუდვარდასი. ჯერ იყოს ახე! ერთი სხვა რამეც ვნახოთ! ეს... მაჭარაშვილი კარგა ხანს აფათურებდა ხელს ჩანთაში და ბოლოს სამი კვერცხი ამოიღო. — ეს ბაჯუჯა ქათმის კვერცხები, ქორს რომ თვალი გამოსთხარა, იმ ბაჯუჯასი... ეს კიდევ ტახის ხორცი. შინაურისა კი არა, გარეული ტახის ხორცი. აი, ამოდენა ეშვები ჰქონდა აი! აბა, ნახე რა გემო აქვს! აბა ნახე!..



ბეკეკო ჩაცუცქდა და იმ ახალთახალი, კრიალა ქანჩების გადათვლა დაიწყო.

მაჭარაშვილმა მოზრდილი ნაჭერი მოუჭრა, პურიც მიაწოდა, რომელიც აგრეთვე უბრალო პური კი არ იყო, არამედ თვით ასათი წლის პაპა გიგოლას მოყვანილი... თვითონაც ხაგულდაგულოდ დაუტრიალდა ამ პატარა სუფრას და მშრომელი კაცის სადილობაც გაჩაღდა.

გემრიელად შეექცეოდნენ დაზგაზე ჩამომსხდარნი, თან საუბრობდნენ.

— ვინც შრომობს, — ფუხსნებოდა ნეკეკოს მაჭარაშვილი, — ვინც შრომობს, ის ენერგიას ხარჯავს. ვინც ენერგ... არ იცი რა არის ენერგია? ძალაა. ვინც ენერგიას ხარჯავს, იმას კარგი ჭამა უნდა, რომ ის დანახარჯი აინაზღაუროს. რაღ ასხამენ, თუ იცი, ბენზინს მანქანაში. აბა, რათ ასხამენ! არ იცი? იმიტომ, რომ საწვავი ჰქონდეს და მოტორი აამუშაოს. როგორც კი საწვავი გამოთავდება, იმ წუთშივე გაჩერდება. ადამიანიც ასეა. როგორც კი საჭმელი შემოაკლდება, შრომას ვეღარ შეძლებს. ადამიანი კიდევ, თუ არ შრომობს, არც ადამიანი იქნება. ვინც ბევრს ჭამს, დიდი ღონეც აქვს, ვისაც დიდი ღონე აქვს, ბევრსაც იმუშავებს.

ამ ლაპარაკში ბეკეკომ ის ხორცის ნაჭერი მთლიანად გაათავა. მაჭარაშვილმა ახლა ბაჯაუჯა ქათმის კვერცხი მიაწოდა და თანაც დაატანა:

— აბა კვერცხის გემოს გაგება თუ გინდა! დამირტყი! გადმოაბრუნე!

კვერცხებს ხევსურული კუდვარდა ძროხის რძე დააყოლეს, რძეს ლოყაწითელი ვაშლი... სუფრა აალაგეს, ხელები დაიბანეს, გარეთ გავიდნენ, კომპრესორები... აი, შეკუმშულ ჰაერს რომ აწვდის გვირაბებს... კომპრესორები დაათვალიერეს და საყვირიც აუშვეს: სამუშაოს შეუდექით.



კვერცხებს ხევსურული კუდვარდა ძროხის რძე დააყოლეს.

თამარმა რომ თეფში გოგოში დაიხანა, [illegible] და წამოიძახა:

— ჭამა რამე?

— ჭამა! — გაიკვირვა მაჭარაშვილმა. — რა, არ ჭამს ხოლმე, თუ...

ბეკეკომ თავი ჩაღუნა.

— არ ჭამს ხოლმე? იქნებ უბრალო რამეებს აძლევ! ტახის ხორცს და კუდვარდა ძროხის რძეს ვინ დაიწუნებს! ვინ იქნება ქვეყანაზე ისეთი, რომ ისინი დაიწუნოს. განა არ მოგეწონა?

ბეკეკომ კმაყოფილებით დააქნია თავი.

— იმ საღამოსვე გამოგიგზავნით: ხორცსაც, კუდვარდა ძროხის რძესაც და ბაჯაუჯა ქათმის კვერცხებსაც; არ ვნახოთ, რომ უბრალო რამე დაახალო! არ ვნახოთ!..

— იმ დღის შემდეგ ბეკეკო ყოველდღე მიდიოდა საბელოსნოში.

— პაკ-პუკ! პაკ-პუკ! — შემოსძახოდა კუნდებოდა თიკანივით.

— მოხვედი, ბეკეკო! — დაუძახებდით ჩვენ.

ის თავს დაგვიქნევდა და ისე გაგვიღიმებდა, თითქოს გვეუბნებოდა, ვიცი, სიყვარულით მეძახით ბეკეკოს, თორემ სხვანაირად რომ მეძახდეთ, ერთ ამბავს დაგაწევდითო.

დედასთან არ ჩერდებოდა. სულ სახელოსნოში ტრიალებდა: გვიდა, ალაგებდა, ასუფთავებდა. ამისთვის — ეს მოზქონდა, იმისთვის — ის... ხოლო მაშინ, როცა საყვირს ახმაურებდნენ, მაჭარაშვილთან და დედასთან ერთად გემრიელად შეექცეოდა: ხან გარეული ტახის ხორცს, ხან ასტრახანში დაჭერილ თევზს, ხან მუხის ფუღუროდან ამოღებულ თაფლს და ხანაც პაპა გიგოლას ბაღში მოკრეფილ ვაშლებს. კუდვარდა ძროხის რძის გარეშე ხომ არცერთი სადილის დამთავრება არ შეიძლებოდა.

ერთ კვირაში შეეტყო. გასუქდა, გაყოჩაღდა, კიდევ უფრო გალამაზდა — სულ ცეცხლი სცვიოდა თვალებიდან. ახლა რომ ნახო, სკოლაში როცა მიდის, სულ იმაზე რჩებათ თვალი! მაშ!

ასეთები ვართ ჩვენ, ელექტროსადგურების მშენებლები!

იქნება მიხვდი კიდეც, რომ ის რძე... რძე კი არა მარტო, თითქმის ყველაფერი ჩვეულებრივი იყო. მაგრამ ხომ გეუბნები, ჩვენ ელექტროსადგურის მშენებლები სულ სხვა ხალხი ვართ. როგორც კი რამე ჩვენს ხელში. გაივლის, იმ წუთშივე სხვანაირად იქცევა, იმ წუთშივე ხალალს ვეღარ მოუძებნი!

არა, მე იმას კი არ გეუბნები, თითქოს მამაშენის ქარხანა მთლად არ ვარგოდეს! მამაშენის ქარხანაც კარგია, მაგრამ ელექტროსადგურის მშენებლობა მაინც სხვაა. შენ რომ გაიზრდები, ჩემო თამუნია, შენ რომ დიდი გოგონა გაიზრდები, უეჭველად ჰიდროინჟინერი უნდა გახდე. ჰიდროინჟინერი რაღა არის? გასწავლიან, ისწავლი, როცა გაიზრდები. ახლა კი ჩაჩტი და აგერ ის ყავა გამოცალე! აბა, ყოჩაღად!

„პიონერი" 1956 წ. №4

# ჩემო ენა, ძირში ხარ მოსაჭრელი



**შენ რომელი მოიტყუები?**

— „იცოდე, დედას ვეტყვი!“— ჩვეულებრივ, ასე ამბობდა ხოლმე თამაზი, როდესაც ბავშვები ისე არ მოექცეოდნენ, როგორც მას სურდა, და დედასთან გარბოდა საჩივლელად. ეს პატარაობისას იყო. მაგრამ სკოლაში რომ შევიდა, ეს ჩვეულება არც იქ მოიშალა და მალე მთელ სკოლაში ენატანიას სახელი დაიმკვიდრა.

ერთხელ, შესვენებაზე, დერეფანში დასეირნობდა და გულმოდგინედ ადევნებდა თვალს, რას აკეთებდნენ თანატოლები. ახლა მას გულის მოსვლის ცოტა მიზეზი კი ჰქონდა. — გუშინ ფეხბურთს რომ თამაშობდნენ, არც ერთმა თანაკლასელმა არ დაუძახა სათამაშოდ. ამაზე მაშინ ვერაფერი თქვა, ვერც მასწავლებელთან იჩივლა, მაგრამ იმედს არ კარგავდა: — მალე გადაგიხდით სამაგიეროსო.

უცებ, დერეფნის კუთხიდან ჩურჩული მოესმა; კარგად გაიგონა: მისი სახელი ახსენეს და მერე გულიანად გადაიხარხარეს. მიუახლოვდა თუ არა, ბავშვებმა საუბარი შეწყვიტეს. ახლაღა დაინახა, რომ თინა გუშაგად დაეყენებინათ. ის იყო სწორედ, თამაზის მიახლოება სწრაფად რომ ანიშნა ამხანაგებს. ცნობისმოყვარეობისაგან სული წაუვიდა; მაგრამ რას გააწყობდა, ისევ დუმილი არჩია და, ვითომც აქ არაფერიაო, ცხვირაწეულმა აქეთ-იქით დაიწყო სიარული. როგორც კი ორიოდე მეტრით გასცდა იქაურობას, ბავშვებმა კვლავ გააბეს ჩურჩული. ახლა მისი სახელი არ უხსენებიათ, მაგრამ ის კი კარგად გაიგონა, რომ სადღაც ფანჯარა ჩაემტვრიათ. მასწავლებელმა არ გაგვიგოსო, — აფრთხილებდნენ ერთმანეთს.

— „გიჩვენებ სეირს!“—გაიფიქრა თამაზმა და თინას აედევნა, ეგებ მითხრას ვინ გატეხა ფანჯარაო. დაეწია, ხელი ჩაავლო და დაემუქრა:

— ყველაფერი გავიგონე, რაც თქვით...

— გაიგონე და ძალიანაც კარგი,— მშვიდად უპასუხა თინამ.

— თინა, მითხარი, სად გატეხეს ფანჯარა და დღეიდან არაფერს გაწყენინებ.

— თუ ძალიან გინდა, გეტყვი, ოღონდ არითმეტიკაში დავალება გადამაწერინე, — შემრიგებლური კილოთი უთხრა თინამ.

„ოჰო, ახლა სადღა წამიხვალ? — გაიფიქრა თამაზმა — გაკვეთილი არ ჰქონია დამზადებული“.

— კარგი, გადაგაწერინებ, მხოლოდ მითხარი, სად გატეხეს ფანჯარა?

— იქ გატეხეს, ტანვარჯიშის დარბაზში, — გამოტყდა თინა.

როგორც კი მასწავლებელი კლასში შემოვიდა, თამაზმა ხელი ასწია.

— რა მოხდა, თამაზ? — იკითხა მასწავლებელმა.

— ბიჭებმა ტანვარჯიშის დარბაზის ფანჯარა ჩაამტვრიეს.

დარბაზის ფანჯრები კლასიდან კარგად ჩანდა. მასწავლებელმა ეზოში გადაიხედა.

— რომელი ფანჯარა?

— აი, კუთხეში.

— ყველა მინა რომ მთელია?

— არა, მასწავლებელო, ახლა ამბობდნენ სწორედ, გავტეხეთო.

კლასი ახმაურდა, ბიჭები სიცილით იგუდებოდნენ.

მასწავლებელი ვერაფერს მიხვდა. თამაზმა გაოცებული მზერა კლასს მოავლო და ოცდაათი მოღიმარი, კმაყოფილი და მხიარული სახე რომ დაინახა, მაშინღა მიხვდა, რომ ყველაფერი მოწყობილი იყო. გააცურეს, მოატყუეს, მთელი კლასისა და მასწავლებლის წინაშე თავი მოჭრეს!

ენა მოიკვნიტა, გაშრა ბიჭი.

„ჩემო ენა, ჩემო ენა, ძირში ხარ მოსაჭრელი!“— ფიქრობდა გუნებაში.

რ. ქობულია

ნახატი გიორგი თოთიბაძისა

„პიონერი“ 1964 წ. №8

ეროვნული ბიბლიოთეკა



განყოფილებას ხელმძღვანელობს
ნოდარ შამანაძე

## როგორ დაერქვა მანავი



სოფელ მანავის მიდამოებში წინათ ტბა ყოფილა. მის სანაპიროზე მხოლოდ ორიოდე გლეხი მოსახლეობდა. ისინი ტბაში ნავით გადიოდ-გამოდიოდნენ. ერთხელ იმ ტბასთან ვილაც უცნობი მგზავრი მისულა და დაუძახია: რა ვქნა, იქითა ნაპირზე როგორ გავიდეო. მანდ ნავია, ჩაჯექი, მოუსვი ნიჩაბი და გადიო, უპასუხნია გლეხს. ამის შემდეგ დაერქვა მანავი.

მთქმელი — ნინო ტაბატაძე (41 წ.),
ჩამწერი — ლეილა ბეჟიტაშვილი, საგარეჯოს რაიონის თოხლიაურის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.

## ქალქვა



უძველეს დროში კახეთს მტრები შეესივნენ. სახლები მიანგრ-მოანგრიეს, მოსახლეობა ააწიოკეს. უცებ ერთი ნანგრევიდან ქალმა თავი გამოყო, თვალის ცეცებით მიიხედ-მოიხედა და მინდვრებისკენ გაიქცა, იქნებ ტყემდე მივაღწიოო. თავდამსხმელებმა შენიშნეს, ცხენებზე ამხედრდნენ და დაედევნენ. რომ დარწმუნდა, დამეწევიანო, გაბოროტებულმა ქალმა გულში გაივლო. ამ მხეცების ხელში ჩავარდნას, ნეტავი აქვე გავქვავდებოდეო. ამის გაფიქრება იყო და მართლაც გაქვავდა. ჩვენი სოფლის ბოლოს ერთი დიდი ქვა არის აყუდებული, რომელიც ქალს ჰგავს, მას ყველა ქალქვას ეძახის.

მთქმელი — სონა მინჯარაშვილი (66 წ.),
ჩამწერი — ეუჯენი ბურდიაშვილი, ქ. თელავის II საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.



## ვაზის ნათქვამი

დიდ გარჯაში გავიზარდე,
გლეხო, შენი ოფლის ღვრითა.
ჯერ ხომ მიწა მომიმზადე
ბარითა და ნიჩაბითა,
მერე თავს დამტრიალებდი,
სულ იტეხდი ჩემთვის ძილსა,
წამალს დროზე მასხურებდი,
მიმაგრებდი ხელით ძირსა.
ხაგაისოდ მოიკითხე
სამამულე ჩემი რქისა,
იხეთ მტევნებს გამოვისხამ,
არ ჩავიდეს გოდრის პირსა.
საწნახელი მომიზადე
წაბლისა და წიფელისა,
დიდი ქვევრიც მომიზადე,
სარცხლით გამირეცხე ისა.
თალარიც კაი დამიდგი,
თიხისა და არა ხისა,
ყველაფერს ისე აგივსებ,
ჭურჭელი ვერ ნახო წყლისა,
სტუმრებისთვის მზად იქნები,
არ მოგაკლებს ღმერთი ლხინსა.

მთქმელი — ხოფიო ზაქარიას ასული ლონგურაშვილი (80 წ), ჩამწერი — ალექსანდრე ცოტნიაშვილი, ქ. ცხინვალის 1-ლი საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.

## სოფელი ნასამხრალი



ერეკლე მეფე თავისი რაზმით თავდამსხმელებს დაედევნა. ბევრი დახოცა, ზოგმა კი გაქცევით უშველა თავს. რომ მობრუნებულა, ერთ სოფელში შეუსვენია და უთქვამს: რახან მტერი დავამარცხეთ, ერთი კარგი სამხარი გვეკუთვნისო. მართლაც, დამსხდარან და უსამხრიათ. ამიტომ იმ სოფელს ნასამხრალს ეძახიან.

მთქმელი — თამარ ხოხობაშვილი (68 წ.),
ჩამწერი — დარო ბათურიშვილი, ახმეტის რაიონის მატნის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.



თბილისო, ჩვენო თბილისო,
ათასფრად მოელვარეო,
ერთი შენა ხარ ლამაზი,
მეორე — მზე და მთვარეო.
წარსულში ბევრჯერ გადაგწვეს,
იყავი მგლოვიარეო,
დაღუპულ მამაც შვილებზე
მდუღარე ცრემლი ღვარეო.
ოქტომბრის შუქმა გაგათბო,
დღე დაგავიწყა მწარეო,
გაბედნიერდი, გალაღდი,
ამაღლდი, გაიხარეო.
კვლავ დიდი გამარჯვებანი
და სიხარული თვალეო,
ნუ ჩამთვლი ბერიკაცადა,
ჭაბუკად მიმითვალეო.

მთქმელი — ვანო ამრაზიშვილი (70 წ.), ჩამწერი — მარიკა ამრაზიშვილი, ყვარლის რაიონის ახალსოფლის 1-ლი საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე.

„პიონერი" 1977 წ. №4

E-6507



### მუხლუხების შემოსევა

აშშ-ს ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში მცხოვრებთათვის უბედურებად იქცა არაფარდი პარკხვევიების შემოსევა. წლეულს მათ პირწმინდად გაანადგურეს ტყისა და ბაღის საფარი 9 მილიონ აკრ ფართობზე. მატერიალური ზარალი ათეული მილიონობით დოლარს შეადგენს.

სპეციალისტების წინასწარმეტყველებით. 1982 წელს მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება, რადგან მუხლუხები ამ ქვეყნის ყველა რაიონში ვრცელდებიან.

### ყველაზე პაწაწინა წიგნი

იაპონიაში გამოსცეს წიგნი, რომელიც ისეთი პაწაწინაა, ნემსის ყუნწში გაძვრება. იგი 160-გვერდიანია, დაწერილია ყვავილების ენაზე (ტექსტი სიმბოლურია), ყოველი გამოხატული ყვავილი რაიმე განსაზღვრულ აზრს გამოხატავს). ამ მიკრომინიატურული წიგნის წაკითხვა შეიძლება მხოლოდ ძლიერ გამადიდებელი შუშით, რომელიც მას სპეციალურად თან ახლავს.



### ფრთოსანი გამძღოლი

უსინათლო ადამიანის გამძღოლად ოდითგანვე ძაღლი ითვლებოდა. მაგრამ ამერიკელი ორნითოლოგის რეი ბრუიკის აზრით, ამ როლის უკეთესად შესრულება შეუძლია თუთიყუშს. ძაღლისაგან განსხვავებით თუთიყუშს არ აწუხებს დალტონიზმი და საერთოდ გაცილებით მახვილი თვალი აქვს, — ამტკიცებს ბრუიკი. მას შეიძლება შუქნიშნის ფერის, სავალ ნაწილზე მანქანების მოძრაობის ან სხვა დაბრკოლებისდა მიხედვით შევასწავლოთ ახეთი სიტყვების წარმოთქმა: „სდექ" „წადი". „მოუხვიე მარცხნივ" და ა. შ... თანაც ამ ფრინველის შენახვა გაცილებით იაფი ჯდება, ხოლო მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა იმდენად დიდია, რომ უსინათლოს თავისი სიცოცხლის მანძილზე ერთი და იგივე „გამძღოლი" ჰყოფნის.

ფხიანმა ორნითოლოგმა უკვე გახსნა სპეციალური ფირმა „ჩიტის თვალები", რომელიც ყიდის დიპლომიან თუთიყუშებს 250 დან 400 დოლარამდე, იმისდა მიხედვით, თუ რამდენ სიტყვას შეიცავს ამ ფრინველის „ჯიბის ლექსიკონი".




### ენა-ტელეგრაფი

ცნობილია, რომ კანარის კუნძულების ყოფილი მკვიდრნი — გუანჩები დიდ მანძილზე სტვენით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. მაგრამ თურმე გუანჩები ერთადერთი ხალხი როდია ჩვენს პლანეტაზე, ვინც ურთიერთობის საშუალებად სტვენა აირჩია.

თურქეთში, ანკარის ჩრდილო-აღმოსავლეთით 600 კილომეტრზე მდებარეობს ვილაიეთი გირესუნი. მის შუაგულში მაღალი მთებია აღმართული. სოფლები აქ ცოტაა და ძნელად სავალი გზების გამო მათ შორის მიმოსვლა გართულებულია, არც სატელეფონო კავშირი არსებობს. და აი, 35 სოფლის მცხოვრებლებმა გამოიგონეს თავიანთი საკუთარი ენა, რომელსაც შეიძლება „ენა-ტელეგრაფი" ეწოდოს. თუ, ვთქვათ, რომელიმე გლეხს დასჭირდა მეზობელი სოფლის მკვიდრ ნათესავს ამცნოს ბავშვის დაბადება, ქორწილი, მეგობრის გარდაცვალება ან სხვა რაიმე ახალი ამბავი, ანდა თუ დახმარება უნდა მას სთხოვოს, უახლოეს გორაზე ადის და სტვენით გადასცემს საჭირო ინფორმაციას. ადგილობრივ მცხოვრებლებს მართლაც რომ ეხერხებათ სტვენა: სამი კილომეტრის მანძილზე შეუძლიათ დაელაპარაკონ ერთმანეთს „ენა-ტელეგრაფს" მხოლოდ ორი ათასი კაცი ფლობს, დანარჩენებისთვის კი გაუგებარია, თუ რაზე ლაპარაკობენ ისინი!

### თავს არავის აჩაგვრინებენ

მინდვრის ჭრიჭინები მამაცურად იცავენ თავიანთ „სახლ-კარს" — პაწაწინა სოროს — თვისტომთა ხელყოფისაგან, უშიშრად ერკინებიან მომხდურს. ჭრიჭინები თავისებურად ჩხუბობენ — ერთმანეთს მთელი ძალით აწვებიან. გამარჯვებული საბრძოლო სიმღერას ასრულებს. შემდეგ მოწინააღმდეგეს კბენს და გვერდზე გადააგორებს.

კუტკალიებიც არავის აჩაგვრინებენ თავს, თუ ვინმე თავხედურად შეიჭრა მათ სამფლობელოში, ისინი მუქარით აღსავსე, ყურისწამღებ ჭრიჭინს ატეხენ ხოლმე. შეშინებული აგრესორი მყისვე გაეცლება იქაურობას.

### სენბერნარების კვალზე

ჯერ კიდევ ჩარლზ დარვინი წერდა, რომ ღორი გონებრივი ნიჭიერებით არ ჩამოუვარდება ძაღლს. უფრო მეტიც, კემბრიჯის უნივერსიტეტში ექსპერიმენტების დროს ბევრ შემთხვევაში უკეთესი შედეგებიც კი აჩვენა. როცა, მაგალითად, ღორები და ძაღლები ცივ შენობაში ერთად მოათავსეს და უჩვენებდნენ, როგორ ჩაერთოთ გათბობა, პირველნი ამ ოპერაციას ერთ წუთში დაეუფლნენ, ძაღლებს კი ორ-სამჯერ მეტი დრო დასჭირდათ ხაამისოდ. ამასთან, ისინიც და ესენიც გათბობის ჩამრთველ კლავიშს დინგს ან ცხვირს კი არ აჭერდნენ, არამედ ფეხებს. გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ ღორებს კარგი ყნოსვა აქვთ. სათანადო წვრთნის შემდეგ ისინი კაკბებს და სხვა ფრინველებს 600 მეტრის სიშორეზე გრძნობდნენ, ადამიანს თოვლის სქელი ფენის ქვეშ პოულობდნენ. სპეციალისტების აზრით, კარგი იქნება ზამთრის პირობებში სამძებრო-სამაშველო მუშაობის დროს, ძვირადღირებული სენბერნარების ნაცვლად სპეციალურად გაწვრთნილი ღორების გამოყენება.



„პიონერი" 1981 წ. №7

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპარლამენტო ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფ ა ქ ტ ი

## „ნაკადულის“ საინფორმაციო სააგენტო



პირველი ბინადრები მიიღო თბილისში, ნუცუბიძის პლატოზე გაშენებულმა SOS ბავშვთა სოფელმა, რომელიც სხვადასხვა ასაკის ობოლი ბავშვებისთვის არის განკუთვნილი და რომელიც უდედ-მამოდ დარჩენილი ბავშვებისთვის ოჯახური გარემოს შექმნას ისახავს მიზნად.

* * *

რუსთავში ჩატარებული I რესპუბლიკურ თეატრალურ ფესტივალზე დიდ წარმატებას მიაღწია რუსთავის სახელმწიფო საბავშვო თეატრმა, რომლის სპექტაკლმა „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“ გაიმარჯვა ერთ-ერთ მთავარ ნომინაციაში — საუკეთესო სცენოგრაფიისათვის.

* * *

ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეაში გაიმართა ფიროსმანისა 130 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა, რომელშიც 80 ნორჩი მხატვრის 100-მდე ნამუშევარი იყო წარმოდგენილი.

* * *

თბილისის ფალიაშვილის სახელობის მუსიკალური გიმნაზიის მეხუთეკლასელმა, 11 წლის ალისა თავდიდიშვილმა მესამე პრემია მოიპოვა რომში გამართულ პიანისტთა VII საერთაშორისო კონკურსში, რომელშიც 24 ქვეყნის 200 ნორჩმა პიანისტმა მიიღო მონაწილეობა. ამგვარ კონკურსებს პერიოდულად აწყობენ შოპენის ასოციაცია და ევროპის პიანისტ-მასწავლებელთა ასოციაცია. გარდა სავალდებულო ჩიმაროზას სონატისა, ქართველმა პიანისტმა შეასრულა ბახის, შოპენისა და დებიუსის ნაწარმოებები.

* * *

ბათუმის განახლებულ კორტებზე ჩატარდა საერთაშორისო საბავშვო ტურნირი ჩოგბურთში ბათუმის პრიზზე. შეჯიბრებაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ნორჩი მოსკოველი, ერევნელი, თბილისელი და ბათუმელი სპორტსმენები. გამარჯვებულთა შორის ბევრია ქართველი ჩოგბურთელი. ტურნირის დამთავრების შემდეგ მათ უჩვეულო სიურპრიზი ელოდათ — ბანკეტი ზღვაში, სასეირნო კატარღებზე.

* * *

28-ე სამუსიკო სკოლის ფოლკლორულმა ანსამბლმა „ბიჭები“ (ხელმძღვანელები თამაზ ანდღულაძე და თამაზ ჟორჟოლიანი) კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა, ამჯერად ალმა-ათაში ყაზახეთის პრეზიდენტის მეუღლის, სარა ნაზარბაევას პატრონაჟით გამართულ ბავშვთა შემოქმედების პირველ საერთაშორისო ფესტივალზე „ანალაინ“. ფესტივალში მონაწილეობდნენ დსთ-ს, აზიისა და აფრიკის სხვადასხვა ქვეყნების ნორჩი წარგზავნილები.

* * *

გრიბოედოვის სახელობის თეატრის სცენაზე შედგა სოხუმიდან ლტოლვილ ბავშვთა თეატრ „თეთრი ტალღას“ პრემიერა. ნორჩმა სოხუმელმა მსახიობებმა წარმოადგინეს სპექტაკლი „ტყის ზღაპარი“ ვაჟა-ფშაველას თემებზე.

# წყალქვეშა გვირაბის საიდუმლო

დიმიტრი ლობჟანიძე
მხატვარი ედუარდ ამბაკაძე



სათავგადასავლო მოთხრობა

ლაზარემ შავად დაფჩენილ ხვრელს ფარანი მიანათა და სიბნელეში შეჭრილ შუქს თვითონაც თან მიჰყვა. ფეხის ხმაზე გრძნობდა, რომ მეგობრებიც უკან მისდევდნენ.

გვირაბი იმაზე ბევრად უფრო მალე დამთავრდა, ვიდრე ამას ლაზარე და მისი ამხანაგები ვარაუდობდნენ, უეცრად წინ აღმართულ უსწორმასწორო პიტალო კლდეს რომ გადააწყდნენ, ცოტა არ იყოს გუნება წაუხდათ. ამგვარ დასასრულს არც ერთი მათგანი არ მოელოდა.

— ციხისა და ეკლესიისა რომ არც სადმე კარი ჩანს, არც კედლები და არც მათკენ მიმავალი გზა, რა ვქნათ ახლა, როგორ მოვიქცეთ?! — უიმედოდ იკითხა ზურამ და უმწეოდ მიმოიხედა ირგვლივ. ლაზარემ დაუტია მეგობარს:

— ზურა, საკმარისია, რამე ისე არ გამოვიდეს, როგორც შენ გინდა, რომ იმ წუთში გული გიტყდება და უიმედოდ ჩაიქნევ ხოლმე ხელს, ახლა რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთო. როგორ უნდა მოვიქცეთ და რადგან აქამდე მოვაღწიეთ, კიდევ უფრო მეტი მონდომებით უნდა ვეძებოთ ციხეც, ეკლესიაც და მათკენ მიმავალი გზაც.

— თანახმა ვარ, ვეძებოთ, ლაზარე, მაგრამ ამ თავდახურულ ქვევრში, — ზურამ ხელით გვირაბის სივრცე მოხაზა, — ციხისა და ეკლესიის მიმანიშნებელი რაიმე ნიშანწყალიც რომ არ ჩანს, ნეტავ რა უნდა ვეძებოთ?!

— არ ჩანსო?! კლდეზე სანთლის ნაღვენთი და წყაროს პირას, კლდის ქიმზე ფიალის პოვნის შემდეგ განა ნათელი არ არის, რომ ეს ის საიდუმლო გვირაბია, რომელიც ციხეს მდინარესათან აკავშირებდა?!

ის, ვინც სანთლები დაანთო და ფიალა დატოვა, აქ მარტო იმისათვის არ მოვიდოდა, წყაროს წყალი დაელია და შემდეგ ისევ უკან გაბრუნებულიყო. ის კაცი...

— ვინ კაცი, ლაზარე?! — გააწყვეტინა სათქმელი ესმამ.

— რა ვიცი, ესმა, ვინ იყო ის კაცი, მაგრამ ვინც იყო, ეჭვი არ მეპარება, რომ სწორედ ციხიდან თუ ეკლესიიდან გამოვიდა, წყალი დალია, სანთლით გზა გაინათა და საიდანაც ჩვენ შემოვედით, იქიდან გავიდა, ამიტომ, თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ციხესა და ეკლესიაში შესასვლელი კარი, ერდო, თუ ხვრელი აქედან არც ისე შორს უნდა იყოს.

— ლაზარე ისე აღგზნებული ლაპარაკობდა, შესიტყვება ვერავინ გაუბედა.

— მოდი, ლაზარე, ერთი, იმ დაქანებულ კუზიან კლდესთან მივიდეთ, აგერ იქ, მარცხნივ, შორეულ კუთხეში რომ ილანდება. თუ გეზარება, მე მივალ და ვნახავ.

ლაზარემ არაფერი უპასუხა, უსიტყვოდ გაემართა გვირაბის შორეული კუთხისაკენ. ადგილზე დარჩენილებს ჯერ ბოლომდე მისული არ ეგონათ, რომ მოულოდნელად მისი ყვირილი შემოესმათ.

— რა დამდუღრულივით ყვირი, რა იყო, ისეთი რა იპოვე?! — შორიდან მიაძახა ზურამ და ფეხს აუჩქარა.

— სწორედ ისეთი რამ ვნახე, რომ ათჯერ ამაზე ხმამაღლა უნდა ვყვიროდე. აბა, ამაზე რას იტყვით?! — ჰკითხა ლაზარემ ახლოს მისულ ამხანაგებს და მათ პირდაპირ აღმართულ კლდეზე მიუთითა, ხოლო უფრო კარგად რომ დაენახათ, ფარანი ერთ ადგილას მიანათა. სამივემ თითქმის ერთდროულად შესძახა:

— ქვის კიბე და საფეხურები?!

— დიახ, კიბე და ქვის საფეხურები! — კმაყოფილებით დაუდასტურა მეგობრებს ლაზარემ.

— ახლა კი ეჭვი აღარ არის, რომ ჩვენამდე ძალიან დიდი ხნის წინ აქ სხვებიც ყოფილან! — თქვა ესმამ. მერე დაიხარა და ერთ-ერთი საფეხურიდან ათასწლოვანი მტვერი ხელისგულით გადაწმინდა. საფეხური შუა გულზე ოდნავ ჩადრეკილი იყო.

— ყოფილან და თანაც არაერთხელ. ასე რომ არ ყოფილიყო, ასე საგულდაგულოდ ამ კიბეს აქ არავინ გამოჰკვეთავდა და არც ეს საფეხური იქნებოდა ასე ჩაზნექილი! — დაუმატა ესმას ნათქვამს ლაზარემ.

— ეს ამ სისქე ქვა რაღამ ჩადრიკა? — გულუბრყვილოდ იკითხა ზურამ.

— განა ჩადრეკილია, გაცვეთილია, ე.ი. ბევრი უვლიათ ამ კიბეზე. — ღიმილით აუხსნა ლაზარემ.

— ჰოო, ამას კი ველარ მივხვდი. — აღიარა ზურამ და მერე ნიკას მიუბრუნდა: — ყოჩაღ, ეს რა თვალი გქონია! კაცო, ბუ ხარ, ღამურა ხარ, თუ ჭოტი?! ამ სიბნელეში იქიდან აქ როგორ დაინახე, რა იყო?!

— რა ვიცი, ზურა, მე მგონია, დანახვაზე მეტად გულმა მიგრძნო, იქ რაღაც უნდა იყოსო და მართლაც რაღაც არ აღმოჩნდა!

— რაღაც არის ასეთი მშვენიერი კიბე?!

— მაგის სიმშვენიერე მაშინ ნახე, როცა ციხესა და ეკლესიაში მიგვიყვანს! — კმაყოფილებით თქვა ლაზარემ.

— როგორ?!

— როგორ და სულ ადვილად. ამ საფეხურებს ავყვებით და მღვიმის ჭერსა და თავანში ავალთ.

— ჭერსა და თავანში როგორ ავალთ, როცა ჭერი სიპი ქვა არის და ნემსის წვერის შესაძრომი ღრიჭოც არ უჩანს! — არ დაეთანხმა ზურა.

— ძირიდან მართლაც არავითარი ღრიჭო არ ჩანს, მაგრამ აბა ასეთ ლამაზ კიბეს კლდეში ვინ გამოკვეთდა, სხვა დანიშნულება რომ არ ჰქონდეს?!

*დასასრული.*
*იხ. „ნაკადული“ №1-3*

— რა დანიშნულება?

— რა და რაც ყოველ სახლში აქვს. დაგავიწყდა, ძირიდან მაღლა არ ავდივართ კიბით? აუცილებლად უნდა გავხსნათ სარქველი, რომლითაც ეს კიბე უნდა იყოს დახშული. — ამ სიტყვებით ლაზარემ ფარანი ნიკას გადასცა, თვითონ კი ნელ-ნელა აუყვა კიბის საფეხურებს. ჭერს რომ მიუახლოვდა, ქვის თავანს ორივე ხელით მძლავრად მიაწვა. მისი ვარაუდით, სწორედ ამ ადგილას უნდა ყოფილიყო ტაძარსა და ციხეში ასასვლელი საიდუმლო. ქვის ჭერი რამდენჯერმე მოსინჯა ხელით, მაგრამ არც სარქველი ჩანდა სადმე და არც ასასვლელი. მაგრამ ბიჭს მაინც არ გაუტეხავს გული. დარწმუნებული იყო, რადგან კიბე არსებობდა, სადმე ჭერში ასასვლელიც უთუოდ უნდა ყოფილიყო. არც იმას მოელოდა, რომ ჭერს ხელს შეახებდა თუ არა, სარქველი უმალ გაიხსნებოდა და საიდუმლო კარიც გაიღებოდა.

ნიკა, ზურა და ესმა დაბლა იდგნენ და სულგანაბულები შესცქეროდნენ ლაზარეს წვალებას.

— ნიკა, ზევით ამოდი და ფარანი ახლოდან მომინათე! — სთხოვა ლაზარემ.

ნიკამ რამდენიმე საფეხურით მაღლა აინაცვლა და ფარანი ჭერის იმ ადგილს მიაშუქა, სადაც ლაზარე თაღს ორივე ხელით მთელი ძალით აწვებოდა.

ამ ყოფაში რამდენიმე გრძელი წუთი გავიდა და ბოლოს ლაზარეს ყვირილიც გაისმა:

— ვიპოვე, მივაგენი!

ირგვლივ ჩამოწოლილ სიჩუმეში ლაზარეს ხმა საოცარი ძალით გაისმა და თითქოს გვირაბის მყარ კედლებს დანგრევას უპირებსო, ისე ეძგერა სიპ ტინებს.

დაბლა მყოფნი ჯერ დაიბნენ, შემდეგ მიხვდნენ, რომ რაღაც მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა და მიაძახეს:

— რას მიაგენი, ლაზარე?!

— აბა, სად, სად არის?!

— აგერ, აქვე, ზედ ჩემს თავს ზემოთ. მოდით, ერთი ნახეთ, რა არის ჭერში მიმაგრებული! — უხმო ლაზარემ მეგობრებს.

როცა ყველამ კიბის საფეხურთან მოიყარა თავი, ფარნის შუქზე დაინახეს, რომ იქ რკინის რგოლი იყო ჩაჭედილი. რგოლი მოკეცილი ეკიდა და ქვაზე სიბრტყით იყო აკრული. ალბათ განგებ, იმ შემთხვევაში, თუ გვირაბში ოდესმე ვინმე შეაღწევდა, რგოლი ადვილად არ შეემჩნია და ეკლესიისაკენ მიმავალი საიდუმლო ასავალი ეპოვა, ამიტომ იყო, რომ ლაზარემ ჭერზე ხელის ფათურისას, სანამ შემთხვევით არ წაანწყდა და მტვერი და მიწა არ გადაწმინდა, მანამდე ვერ შეამჩნია რგოლი.

თუმცა ძალიან გაუჭირდა ლაზარეს რგოლის ჩამოწევა, მაგრამ მაინც გაასწორა. რგოლს ჟანგი მოსდებოდა, მაგრამ იმდენად სქელი რკინისაგან იყო ნაჭედი, დასუსტების არაფერი ეტყობოდა.

ლაზარემ კიდევ ერთხელ გადაწმინდა ჭერი და ფარნის შუქზე გარკვევით გამოჩნდა რკალად მოხრილი ისარი, რომელიც მიმართულებას უჩვენებდა. ბიჭი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ციხესა და ეკლესიის შიგნით ასასვლელი ხვრელის სარქველს მიაგნო.

მოგზაურებმა სიხარულით აღარ იცოდნენ რა ექნათ. ერთი სული ჰქონდათ, როდის ახდიდნენ სარქველს და ნანატრ შენობაში შეაღწევდნენ.

ბიჭებმა ხან ცალ-ცალკე სცადეს რგოლის იქით შემობრუნება, საითაც ისარი მიუთითებდა, ხან ერთად, მაგრამ ამაოდ. ძვრა ვერ უყვეს რგოლს და მით უმეტეს ვერც მის დამჭერ ქვას.

— ვინ იცის, ტყუილად ვეწვალებით ამდენს, სინამდვილეში კი არავითარი ხვრელი და სარქველი არ არის! — ეჭვით თქვა ბოლოს ზურამ.

— აუ, ეს რა ურწმუნო ვინმეა! — გაწყრა ლაზარე. — ამდენი რამის პოვნის შემდეგ შეიძლება, რომ კაცი კიდევ რამეში დაეჭვდეს?! ნუთუ, შენთვის ეს კიბე მაინც არაფერს ნიშნავს?!

— როგორ არ ნიშნავს, მაგრამ...

— ისეა გაკეთებული, ხომ?!

— რა ვი, შეიძლება.

— ისე რა, ხელები ექავებოდა მის გამკეთებელს?! ან ეს რგოლი რისღაა?!

— ხომ შეიძლებოდა რგოლი სხვა რაღაცისთვის მიეჭედებინათ...

— მაინც რისთვის, ზედ თოკი უნდა ჩამოებათ და ვინმე ჩამოეხრჩოთ თუ ლორის გამოსაყვანად ფლიკები უნდა ჩამოეკიდათ?!

— მოეშვით კამათს. როგორც ჩანს, ამ რგოლს ასე, შიშველი ხელით ვერაფერს დავაკლებთ. ვინ იცის, რამდენი საუკუნე არ გაღებულა ეს სარქველი და რგოლიც ამიტომ არის კლდეში ასე უძრავად ჩაჭედილი. რაიმე ბერკეტი თუ არ მოვიშველიეთ, ვერც ამ რგოლს დავძრავთ ადგილიდან და ვერც სარქველს ავხდით! — ჩაერია ნიკა.

— ახლა მეც დავრწმუნდი, რომ ბერკეტის გარეშე ვერაფერს გავხდებით.

— დაეთანხმა ნიკას ლაზარე. — თქვენ აქ დამიცადეთ, მე წავალ და ბურღს მოვიტან, იქ არ დავტოვეთ, ზურგჩანთებთან? ოღონდ ფარანი უნდა წავიღო. სიბნელეში დარჩენისა ხომ არ შეგეშინდებათ? — ლაზარემ ნიკას ფარანი გამოართვა და სანამ ვინმე რამეს ეტყოდა, სირბილით დაეშვა გვირაბის ბოლოსაკენ.

სიბნელეში დარჩენილებმა თვალი გააყოლეს ლაზარეს, მაგრამ ჩამოწოლილ წყვდიადში ვეღარ დაინახეს. ერთხანს მარტო ფეხის ხმა ისმოდა, მერე ისიც მიწყდა.

ესმა, ნიკა და ზურა კიბის საფეხურზე ჩამოსხდნენ გუგულებივით და ლაზარეს დაბრუნებას დაელოდნენ. ჩუმად იყვნენ და იმაზე ფიქრობდნენ, ბურღით მაინც თუ შეძლებდნენ რკინის რგოლის სასურველი მიმართულებით შემობრუნებას, სარქველის ახდას, ან თუ იმ სარქველის მიღმა მართლა იყო რამე - ეკლესია, მეწყერისაგან დამარხული გორგასლისდროინდელი ციხის ნანგრევები თუ სხვა რამ საიდუმლოებით დაბურული ნაგებობა. ვინ იცის, იქნებ სულაც ეს კიბე ნაფეტვარ მინდორზე ადის და ეგ არის და ეგ.

— ალბათ ასეთ უკუნეთზე იტყვიან ხოლმე, საკუთარ თვალთან მიტანილი თითი არ ჩანსო, — წამოიწყო ნიკამ უფრო იმიტომ რომ ამდენ ხანს უხმოდ ჯდომა მოსწყინდა და ბნელში ჩამოწოლილი მდუმარება ვერ აიტანა. — ეს ნათქვამი, გაგონებით, ვინ იცის, რამდენჯერ გამიგონია, მაგრამ ეჭვი მეპარებოდა, ისეთი, ნეტა რა სიბნელე უნდა იყოს, რომ კაცმა საკუთარ თვალთან მიტანილი თითი ვერ დაინახოს - მეთქი, ვფიქრობდი ჩემთვის. თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე, რაც ლაზარე წავიდა და გვირაბში ჩამობნელდა, ჩუმად რამდენჯერმე მივიტანე თითი თვალთან, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ დავინახე. თქვენ ისე ხართ სიბნელეს შერწყმული და შერეული, ხელით თუ არ შეგეხეთ, ისე არ ჩანხართ, ვითომ არც ყოფილხართ ჩემთვის.

— ნეტავ, ეს კიბე სად მიგვიყვანს! — რაღაც დიდი ნატვრის ახდენის იმედით თქვა ესმამ.

— არსადაც არ მიგვიყვანს! — თითქოს ვიღაცაზე თუ რაღაცაზე განაწყენებული ხმით ისროლა ზურამ.

— რატომ გგონია?! — ჰკითხა ნიკამ.

— რა ვიცი, ასე კი მგონია, და...

— რაც არ იცი, იმაზე არც უნდა ილაპარაკო! — მოუჭრა ესმამ.

სიბნელეში ჯერ მცირე ცრიატი გაკრთა, შემდეგ ლაზარეს აჩქარებული ფეხის ხმა მოისმა და ბოლოს გვირაბის თაღქვეშ აღმა-დაღმა მოქანავე შუქმაც იელვა.

შუქის დანახვაზე კიბეზე მსხდომთ საუბარი შეწყვიტეს და გახარებულები ფეხზე წამოდგნენ.

— ძალიან დამაგვიანდა?! — იკითხა ლაზარემ და ბურღი შუბივით დაჰკრა მიწას. გვირაბში ჟღრიალი გაისმა.

— არა, სულაც არ დაგვაგვიანებია. შენს მოლოდინში, სიბნელეში დარჩენილებს მცირე დროც ხანგრძლივად გვეჩვენა, თორემ სინამდვილეში შენ საკმაოდ მალე დაბრუნდი. — დაამშვიდა ლაზარე ესმამ.

— რა ვიცი, წუთით არსად გავ-

ჩერებულვარ. ის კი არა და პირველ მღვიმეშიც არ გავსულვარ, დრო არ დავკარგო-მეთქი, თუმცა ძალიან მაინტერესებდა გამეგო, მზე სადამდეა ცაში ასული.

— მზეა ცაზე თუ მთვარე, აქედან ამას ვერ გავიგებთ, თუმცა სულ ერთია, რომელიც უნდა იყოს, ჩვენ აქედან მანამდე ვერ წავალთ სანამ ბოლოში არ გავალთ. — თქვა ნიკამ და მერე ლაზარეს მიუბრუნდა. — სჯობია, მოდი რა, დროზე შევუდგეთ საქმეს, მოთმინება არ მყოფნის მინდა ვნახო, სარქველს ზევით რა გველოდება.

— რა გველოდება და გაშლილი სუფრა. — ჩაიცინა ზურამ.

— შენ იცინე და ერთიც ვნახოთ, ჯადოსნური ლამპარი ვიპოვეთ, მაშინ ნამდვილად გავშლით საჭმელსასმელით სავსე სუფრას. — მიუგო ესმამ.

— დაელოდე და როცა ჯადოსნურ ლამპარს იპოვი, თქვენ მიერ გაშლილ სუფრაზე მე ნუ მიმიწვევ. — დაცინვით უთხრა ზურამ.

— ჯადოსნური ლამპარის რა მოგახსენოთ, და მეწყერისაგან დამარხულ ციხესა და ეკლესიაში რომ სულ მალე შევალთ, ამაში ეჭვი ოდნავაც აღარ მეპარება! — თქვა ლაზარემ და კიბის საფეხურზე შეაბიჯა. — ქიტესა ბაბუამ აკი სიტყვასიტყვით ასე თქვა: — ბერმა ხმა რომ ამოიღო, ხალხს აუწყა, უფალმა თვითონ იცის, რომელ თაობაში უნდა იპოვონ მეწყერისაგან დამარხული ეკლესია. ხოლო მისი კარი მაშინ გაიღება, როცა რკინის რგოლი ისე შემობრუნდება, როგორც მზე ბრუნავს აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, ანუ მარცხნიდან მარჯვნივ. ქვაზე ამოკვეთილი ისრის მიმართულებაც ხომ ამას გვანიშნებს?!

— მე როცა იქ ვიყავი, ქიტესა ბაბუას მაშინ ეგ არ უთქვამს და ?! — დაეჭვებით იკითხა ნიკამ და ლაზარეს მიაჩერდა.

— არა, მაშინ ნამდვილად არ უთქვამს ეს, მაგრამ მერე მე მარტომ ვინახულე იგი და კიდევ ერთხელ გამოვკითხე გვირაბის და ეკლესიის ამბავი. რგოლისა და ეკლესიის შესასვლელის ამბავიც მაშინ მითხრა, ჩუმჩუმელა ყოფილა ეგ ქიტესა ბაბუა. სანაძლეოს ჩამოვალ, რომ ამ გვირაბის ადგილსამყოფელიც იცოდა და, იქნებ აქაც ნამყოფი იყო, მაგრამ ჩვენ განგებ დაგვიხლართა გზა-კვალი. — წყენით თქვა ნიკამ.

— მით უკეთესი თუ ამ გვირაბის არსებობა იცოდა, მაშინ რაც მას ციხესა და ეკლესიაზე უთქვამს თქვენთვის, ყველაფერი სინამდვილე ყოფილა, ორივეს უთუოდ მივაგნებთ. — აუხსნა ესმამ მეგობრებს, რასაც ფიქრობდა.

— ყოჩაღ, ესმა! ასეთი დამაიმედებელი წინასწარმეტყველების შემდეგ სხვა არაფერი დაგვრჩენია, საქმეს დროზე უნდა შევუდგეთ. — თქვა ლაზარემ, ფარანი ზურას გადასცა და თვითონ ბურღი რგოლში გაუყარა.

დანარჩენები სუნთქვაშეკრულნი შესცქეროდნენ ჭერსა და რგოლზე გამოდებულ ბურღს.

ლაზარემ, ჯერ საცდელად, ნელა მოსწია ბურღს. შემდეგ უფრო მძლავრად დააწვა. როცა ძვრა ვერ უყო, მთელი ძალით მიაწვა ბერკეტს იმ მხარისაკენ, საითაც ისარი მიუთითებდა, მაგრამ სარქველ-სახურავი ოდნავადაც არ



შერხეულა.

— ძალიან მაგრად ჩანს ჩაკირული, ეტყობა, უფრო მეტი ძალა სჭირდება, ნიკა, ზევით ამოდი და მომეხმარე. — მოუხმო დასახმარებლად ლაზარემ. ნიკამ უმალ აიწია ერთი საფეხურით და ახლა ბერკეტს ორივენი დააწვნენ. როცა ზურამ შეატყო, რომ საქმე ვერც ამის შემდეგ წაიწია წინ, ფარანი ესმას გადასცა და მეგობრებს მიეშველა.

ძალამ თავისი ქნა. ჭერში ჯერ რაღაც გაჭრიალდა, შემდეგ ქვაზე ქვის შემობრუნების ხმა გაისმა და ბერკეტმა ჭერში ნახევარი წრე მოხაზა.

— დაიძრა! ვაშა! — ერთხმად იყვირა ყველამ, მღვიმის თაღებმა ზანზარი დაიწყო. ცოტაც და შემობრუნებულ სარქველ-სახურავსა და ჭერს შორის გამყოფი ბზარი გამოჩნდა. ბიჭები ისევ აწვებოდნენ ბერკეტს, ხვრელის პირი თანდათან იზრდებოდა.

ლაზარემ რგოლიდან ბერკეტი გამოაძრო და ახლა ხელით სცადა სახურავის განზე გაწევა ნიკაც მიეხმარა და ადვილად გადააცურეს განზე. სარქველსახურავის ადგილას, ზემოდან სიბნელემ დააღო პირი.

რომ არ მოელოდნენ, ისე უბრალოდ, სწრაფად და ერთბაშად დამთავრდა ყველაფერი. მღვიმიდან ჭერის თავანში ასასვლელი გზა გახსნილი იყო, ძიების მთავარი ნაწილი დამთავრებული და საიდუმლოების ამოსახსნელად ბევრი აღარაფერი რჩებოდა. ახლა უკვე ცხადი იყო, რომ ეს პირდაფჩენილი ასასვლელი სადღაც, სულ რამდენიმე წუთის სავალზე კიდევ ერთ გვირაბს თუ რვა საუკუნის წინათ მეწყერისაგან დამარხულ ციხესა და ეკლესიას უერთდებოდა.

— ბიჭებო, როგორ ფიქრობთ, ამ ხვრელის იქით რა არის? — კიდევ ერთხელ იკითხა ესმამ.

— მაგას რა დიდი მიხვედრა უნდა, რა არის და თვალგაუმტარი სიბნელე! — ნახევრად ხუმრობით მიუგო ნიკამ.

— ეგ თავისთავად, მაგრამ ამ ხვრელში რომ გავძვრებით, სად მივალთ?!

— მაგასაც მალე გავიგებთ, — თქვა ლაზარემ, ესმას ფარანი გამოართვა, ფარნიანი ხელი ღია ასასვლელში აჰყო და თვითონაც კიბის საფეხურებს აუყვა.

გვირაბში კვლავ წყვდიადმა დაისადგურა. ერთხანს ზემოდან არაფერი ისმოდა, ქვემოთ, გვირაბშიც არავინ იღებდა ხმას. ესმას სული დაელია, ვეღარ მოითმინა და მეგობარს ასძახა:

— ლაზარე, რა ჰქენი, რატომ ხმას არ იღებს?! გავაგებინე, სად ხარ და რა ნახე!

— ამოდით აქ და თვითონ ნახავთ ყველაფერს! — მოესმათ ლაზარეს ხმა, მერე მისი ფარნიანი ხელიც გამოჩნდა, მეგობრებს გზას უნათებდა. ნიკა, ესმა და ზურა კიბეს აუყვნენ და რამდენიმე წუთში ყველამ ერთ მცირე მრგვალ სენაკში მოიყარა თავი.

ლაზარემ სენაკის კედლებს და ჭერს ფარნის შუქი შემოატარა. სენაკის აღმოსავლეთ კედელში იატაკიდან დაახლოებით ორი მეტრის სიმაღლეზე ნიში მოჩანდა, სადაც წმინდა გიორგის მომცრო ხატი ესვენა. კედელს აშკარად აჩნდა სანთლების ნალვენთი. უზომოდ გახარებული მეგობრები გაოცებით აკვირდებოდნენ ხატსაც და ქვის კედლებსაც. განსაკუთრებით ხატმა გააკვირვა. ნიკამ მისი ჩამოღება დააპირა, მაგრამ ლაზარემ არ დაანება.

— ხელს ნუ ახლებ, ნიკა, ყველაფერი ისე იყოს, როგორც არის!

— რა იყო, ლაზარე, თან წაღებას კი არ ვაპირებ! — იწყინა ნიკამ.

— ვიცი, ნიკა, მაგრამ ჩვენ შემდეგ აქ ხომ არქეოლოგები მოვლენ და უმჯობესია, ყველაფერი ისე დახვდეთ, როგორც თავიდან იყო.

ნიკა არ შედავებია. ხატისაკენ გაწვდილი ხელი უმალ უკან წამოიღო

და ყველასათვის მოულოდნელად პირჯვარი გადაიწერა. დანარჩენებმა რომ დაინახეს, თვითონაც მიბაძეს.

— ლაზარე, მარტო ეს მცირე ოთახია, თუ... კარი ან სხვა რამ გასასვლელი არა აქვს ამ სენაკს?! — იკითხა ზურამ და კედლებს და ჭერს თვალი მოავლო. იმდენად იყო დაბნეული აღმოჩენილით, რომ სენაკის ერთ-ერთ კედელში დატანებული კარი ვერ შენიშნა. თუმცა ეს არც იყო გასაკვირი. აბლაბუდითა და მტვრის სქელი ფენით დაფარულ კარსაც და კედლებსაც ერთნაირი ფერი ჰქონდა და ფარნის მკრთალ შუქზე კარი კი არა, ადვილი შესაძლებელი იყო, ის კედელიც ვერ შეემჩნიათ, რომლის არსებობა ოდნავ ეჭვსაც კი არ იწვევდა.

— კარი როგორ არა აქვს, ზურა. რასაც შემოსასვლელი აქვს, იმას გასასვლელიც უნდა ჰქონდეს, — ხუმრობანარევი ხმით აუხსნა ლაზარემ.

— მერე რაღას ველოდებით, გავიდეთ და ვნახოთ კარს იქით რაღა არის! — მოუთმენლობა დაეტყო ზურას.

— ჰო, რა ვიცი, აგერ კარი და ვნახოთ. — დაეთანხმა ლაზარე და აბლაბუდების ბადით დაფარულ ხის კარს ხელით შეეხო.

კარი ადგილიდან არ დაძრულა, ბუდეში მყარად ჩაკეტილი ჩანდა. ნიკა და ლაზარე ერთად დაეჯაჯგურნენ და კარი მძიმედ დაიძრა, თან კვნესასავით ჭრიალი გაიღო. მერე საყრდენს მოწყვეტილი ერთბაშად გადავარდა და სადღაც, სენაკის მიღმა სიცარიელეში ხმაურით დაენარცხა ქვის იატაკზე. ბიჭებმა თავი ძლივს შეიკავეს, თან რომ არ გადაჰყოლოდნენ. იატაკიდან ავარდნილი ბუღი რომ გადაიწმინდა, ლაზარემ სანათური ზევით ასწია და ზღურბლს გადააბიჯა, მას სხვებიც მიჰყვნენ. მოგზაურები ჭერმაღალ დარბაზში აღმოჩნდნენ. მიუხედავად იმისა, რომ კედლები მტვერს დაებინდა და დროჟამს გაეხუნებინა, ლაზარემ და მისმა მეგობრებმა მაინც გაარჩიეს, რომ ეკლესიის კედლები თითქმის თავიდან ბოლომდე მოხატული იყო. იატაკზე უწესრიგოდ ეგდო რამდენიმე სხვადასხვა ზომის ხატი. სავარაუდო იყო, რომ ყველა მათგანი თავიდან კედელზე ეკიდა, მაგრამ დროთა განმავლობაში სამაგრების დაჟანგებადალპობის გამო ძირს ჩამოცვივდა. არც ის იყო გამორიცხული, რომ მეწყერმა თუმცა ვერ დაანგრია კი შენობა, მაგრამ ღონივრად შეარყია და წმინდა ხატები ძირს ჩამოჰყარა. ოდესღაც მოვარდნილი წყალტალახად აზელილი მეწყერის მღვრიე მასას სარკმელში შემოეღწია და ყველა მათგანი ამჟამად მიწით იყო ამოლესილი.

ბიჭებმა იატაკიდან ფეხით გადაწმინდეს მტვრის სქელი ფენა და დაინახეს, რომ ძირს ყველგან კეცი ქვის ფილები იყო დაგებული.

აღმოსავლეთ კედლის მახლობლად თლილი ქვით ნაგები კათედრა იყო აღმართული, რომელზედაც დრო-ჟამის მოქმედების, თუ ხმარებისაგან ყდაშემოცლილი, გადაშლილი სახარება იდო, თითქოს ეს-ეს არის მისი პატრონი წამიერად სადღაც გასულა, შემობრუნდება და კითხვას გააგრძელებსო. ლაზარემ და მისმა მეგობრებმა უმალ წარმოიდგინეს ამ კათედრიდან მრევლს ღვთის სახელით მოყვასის სიყვარულს, ამქვეყნიურ დიდებათა ამაოებას, წარმავლობას და მარადიული სიკეთისთან ზიარების აუცილებლობას რომ ასწავლიდა.

დასავლეთის კედელში დატანებული ორფრთიანი კარი ნიაღვარს ნახევრად შემოემტვრია და ისიც ბოლომდე ასე შემოდრეკილი დარჩენილიყო.

მეგობრები მონუსხულებივით აკვირდებოდნენ ყველაფერს და თითქოს ეშინოდათ, ამ ღვთის სახლის გარდასულ ბინადართათვის სიმყუდროვე არ დაერღვიათ, ხმის ამოღებას ერიდებოდნენ.

საკურთხევლის უკანა მხარეს საგანგებოდ დატანებულ, რამდენიმე განყოფილებიან თაროზე სქელმტვერწაყრილი რამდენიმე ფოლიანტი და წიგნი მოჩანდა. დარბაზის ერთ კუთხეში მცირე ზომის ოდნავ აყირავებული ხის მაგიდა იდგა. ზედ თიხის სამი თუ ოთხი ფიალა მოჩანდა, იატაკზე დოქის ნატეხები ეყარა.

„იმ საბედისწერო ღამეს ალბათ ამ მაგიდას უსხდნენ გვერდი-გვერდ შოთა ბერ-მგოსანი, დათუნა ერისთავი და ერთგული შინაყმები. აკი, ქიტესა ბაბუამ თქვა, თამარ მეფის დაკრძალვის შემდეგ შენდობა შეუთვალეს, და ღვინომ იმოქმედა თუ დაღლილობამ, ყველას ღრმა ძილით ჩაეძინაო“. — გაიფიქრა ლაზარემ და მეგობრებს მიუბრუნდა:

— აბა, ახლა რას იტყვით, იყო თუ არა ქიტესა ბაბუა მართალი, როცა დაბეჯითებით ამტკიცებდა, ვახტანგ გორგასლის მიერ აგებული ციხე და ეკლესია მთიდან უეცრად მოვარდნილმა მეწყერმა დამარხაო?! — იკითხა ლაზარემ და მეგობრებს გამარჯვებული სახით გადახედა, რადგან დღევანდელ აღმოჩენაში საკუთარ დამსახურებასაც ხედავდა.

— რაც მართალია, მართალია, ქიტესა ბაბუას ყველაფერი სიმართლე უთქვამს, — დაემოწმა ზურა.

— რა ვიცი, ეს ამბავი არც ერთს ბოლომდე არ გვჯეროდათ და... ბერიკაცს დავცინოდით, ზღაპრებს იგონებსო და თუმცა არც არის გასაკვირი, მართლაც ზღაპარს ჰგავს, რაც დღეს ჩვენ ვნახეთ. ამის დაჯერება თავიდან როგორ იქნებოდა, მაგრამ მე რატომღაც მჯეროდა, რომ მოხუცი არ ტყუოდა. ახლა ცხადია, რომ ქიტესა ბაბუა იმას ყვებოდა, რაც სინამდვილეში მოხდა და ხალხში ლეგენდად დარჩენილი, თაობიდან თაობაში გადადიოდა.

— ეს ყველაფერი სწორედ ასე უნდა იყოს, ლაზარე, მაგრამ ქიტესა ბაბუამ ხომ ასე თქვა, მისმა ძუძუმტემ დათუნა ერისთავმა და შოთა ბერ-მგოსანმა მსახურებთან ერთად მეფე თამარი რომ დაკრძალეს, თვითონ ღრმა ძილით დაიძინეს და მეწყერმა ციხე და ეკლესია ამ დროს დამარხაო? — ჰკითხა ზურამ.

— კი, ასე თქვა, მაგრამ რა არის ამაში დაუჯერებელი?! — ვერ მიუხვდა ზურას ლაზარე.

— დაუჯერებელი ის არის, რომ... — ზურა წამით შეყოყმანდა და ისევ განაგრძო — მეწყერი ეკლესიაციხესთან ერთად ხომ ყველა შიგ მყოფსაც დამარხავდა?! — რატომღაც შორიდან უვლიდა ზურა მთავარ სათქმელს.

— ალბათ დამარხავდა. — ამაზეც დაეთანხმა ლაზარე.

— თუ ასე მოხდა, მაშინ მეწყერის ტყვეობაში მოქცეულები რამდენ ხანს გაძლებდნენ ცოცხლები?!

— რა ვიცი, ზურა, ალბათ ერთორ დღეს, ერთ კვირას, შეიძლება თვე და მეტიც გაეძლოთ. ან იმდენ ხანს, სანამ სასმელ-საჭმელი ეყოფოდათ და უჰაერობით არ დაიხოცებოდნენ. — მიუგო ბუნდოვანი კითხვებით გაღიზიანებულმა ლაზარემ.

— ჰოდა საქმეც ეს არის! — მრავალმნიშვნელოვნად განაცხადა ზურამ.

— რა გინდა, ზურა, ხომ არ გგონია, რომ აქამდე ისინი ცოცხლები არიან და ეკლესიის რომელიღაც ბნელ საკანში დამალულები ჩვენთან შეხვედრას გაურბიან?! — ჩაიცინა ნიკამ.

— ან იქნებ იმით ხარ უკმაყოფილო, რატომ წინ არ მოგეგებნენ და აქ მობრძანებისათვის მადლობა არ გადაგიხადეს?! — თავის მხრივ დაუმატა ესმამ.

— მორჩით უაზრო ბოდიალს! — საკმაოდ უხეშად გააწყვეტინა ესმას და ნიკას ზურამ და მერე კვლავ ლაზარეს მიუბრუნდა.

— თუ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ქიტესა ბაბუას ნაამბობ თქმულებაშია ნათქვამი, მაშინ ვინც იმ ღამეს აქ იყო, ყველანი ეკლესიაში უნდა დახოცილიყვნენ და მათი ჩონჩხებიც ამჟამად აქ უნდა იყოს, მაგრამ აქ მიცვალებულთა არსებობის არავითარი კვალი არ ჩანს!

— გამოდის, რომ შენ ახლაც ეჭვი გეპარება ქიტესა ბაბუას ნაამბობის უტყუარობაში? — მცირე ფიქრის შემდეგ ჰკითხა ლაზარემ მას.

— ციხისა და ეკლესიის მეწყე-

რისაგან დამარხვაში საეჭვო აღარაფერია. ეკლესია აქ არის, ალბათ ციხეც აქვე სადმე იქნება და ჩვენ თუ არა, სხვა იპოვის, მაგრამ თამარ მეფის აქ დაკრძალვა, მით უფრო შოთა ბერ-მგოსნის და სხვების განსასვენებლის ამ ეკლესიაში არსებობა ნამდვილად არა მჯერა! — რაღაცნაირი ჯიბრით მოჭრა ზურამ.

— ეგ არც მე მჯერა! — ყველასათვის მოულოდნელად დაეთანხმა ზურას ლაზარე.

— როგორ?! — ესმამ და ნიკამ გაოცება ვერ დაფარეს.

— როგორ და ისე. მეწყერს ეკლესია ხომ არ დაუნგრევია, რომ შიგ მყოფი ხალხი უმალ დაღუპულიყო. დაღუპულან კი არა, მე მჯერა, რომ არცერთ მათგანს ფრჩხილიც კი არ წამოსტკიებია, რადგან ეკლესიაც და ალბათ ციხეც მეწყერმა დაუნგრეველ-გაუბზარავი და ფუძემაგარი დაიყოლა და დამარხა. მე დაახლოებით ასე წარმომიდგენია ეს ამბავი: დილით, როცა ეკლესიაში მყოფთ გაიღვიძეს და დაინახეს, რომ მეწყერისაგან დატყვევებულს გარეთ გასაღწევი ყველა მიწისზედა გზა მოჭრილი ჰქონდათ, ცხადია, მიხვდნენ, რომ ეკლესიის შიგნით დიდხანს დარჩენა საშიშიც იყო და უაზრობაც, იმ საიდუმლო გვირაბით ისარგებლეს, რომლითაც ჩვენ აქ შემოვაღწიეთ, და თავს უშველეს.

— რატომ გგონია, რომ სწორედ ასე მოხდა და არა სხვაგვარად?! — რატომღაც ჯიბრში ჩაუდგასავით ამხანაგს ზურა.

— რატომ?

— ჰო, რატომ?!

— რა ვიცი, ალბათ იმიტომ, რომ მეც ასე მოვიქცეოდი. ჰოდა, მათ შემდეგ ეკლესიაში იმავე გზით სხვას, უცხოსა და შინაურს რომ არ შეეღწია და დედოფლის საფლავის საიდუმლო არ გამჟღავნებულიყო ერდოს სარქველი საგულდაგულოდ დაგმანეს, გვირაბის შესასვლელი ამოქოლეს, ზედ ხის ხმელი ტოტები მიაყარეს და საიმედოდ შენიღბეს, მერე კი სამუდამოდ მიატოვეს იქაურობა. დანარჩენი შლამი და სილა, ჩვენ რომ გვირაბის შემოსასვლელში გამოვთხარეთ, ალბათ მზისურას წყალს მიჰქონდა და მოჰქონდა საუკუნეების მანძილზე. დროთა განმავლობაში გვირაბის შემოსასვლელი საბოლოოდ ამოიქოლა და დაიკარგა. როგორც ქიტესა ბაბუა ამტკიცებს, დროთა განმავლობაში ხალხმა თანდათან დაივიწყა მეწყერისაგან დამარხული ციხეც და ეკლესიაც. მერე და მერე კი ალბათ გვირაბის შესასვლელიც აღარავის უძებნია.

ლაზარე ისე დარწმუნებით ყვებოდა ყოველივე ამას, თითქოს საკუთარი თვალით ენახა საუკუნეების წინათ მომხდარი ამბავი. მეგობრები გულისყურით უსმენდნენ.

— ლაზარე, შენი ნათქვამი სიმართლეს ჰგავს, მაგრამ აქ რომ თამარ მეფის საფლავის არსებობაზე არაფერი მიგვანიშნებს?! — სინანულით თქვა ნიკამ.

— ეჰ, ჩვენ რომ თამარის საფლავის რაიმე ნიშანი მაინც გვეპოვა, მაშინ ვიქნებოდით ყოჩაღები! — დაეთანხმა ლაზარე, მაგრამ ესმას შეკივლებამ შეაწყვეტინა.

სამივე იქით გაეშურა, სადაც იატაკზე წაქცეულ ესმას მოჰკრეს თვალი და წამოსაყენებლად მისცვივდნენ.

— რა მოგივიდა, ესმა, ხომ არაფე-



რი დაგშავებია? — მზრუნველობით ჰკითხა ლაზარემ.

— არა, არაფერი, ორმო არც ისე ღრმა ჩანს, ისე რომ გადავრჩი, — დაამშვიდა ბიჭები ესმამ.

— რა ვიცი, ჩვენ კი გულები გაგვიხეთქე და... — ჩაილაპარაკა ზურამ.

— რა ხიფათიანი ვინმე ხარ, ესმა, გააჭირე რა საქმე! — უსაყვედურა ნიკამ, — ყველაფერ უხეიროს შენ როგორ უნდა გადაეყარო?!

— ძალად ხომ არ ჩავმხტარვარ?! კათედრასთან მინდოდა მისვლა, კიდეც გადავდგი ნაბიჯი, მაგრამ გონს მოსვლა ვერ მოვასწარი, რომ ორმოში აღმოვჩნდი. ამ მკრთალ სინათლეზე როგორ უნდა დამენახა?! — თავი იმართლა ესმამ.

— რახან უვნებლად გადარჩი... — დაამშვიდა ამხანაგი ზურამ.

— მოდით, ერთი მაინც ვნახოთ რა ორმოა ასეთი! — შესთავაზა მეგობრებს ლაზარემ და იმ ადგილს, სადაც ესმა ჩავარდა, ფარანი მიაშუქა.

ნიკამ დაიჩოქა და ორმოდან მიწა და მტვერი ამოხვეტა. ფსკერზე ასე, ნახევარ მეტრამდე სიგანის და ორ მეტრამდე სიგრძის ქვის ფილა გამოჩნდა.

ესმამ ზურგჩანთიდან თავსაფარი ამოიღო და ქვას გადაუსვა. ლაზარემ ზედ ფარნის შუქი ისე ფრთხილად გადაატარა, თითქოს სუსტ სინათლეს რაიმე ზიანის მიყენება შეეძლო. ქვის ფილაზე გარკვევით გამოჩნდა ზედ ამოკვეთილი ჯვარი და გვირგვინი.

— ნიკა, რომ ამბობდი, ნეტავ, თამარ მეფის საფლავის არსებობის დამადასტურებელი რაიმე ნიშანი გვაპოვნინა და სხვას არაფერს ვინატრებდიო, აგიხდა, აგერ ნიშანიც! — შესძახა უზომოდ გახარებულმა ლაზარემ და ფარნის შუქი კარგახანს შეაჩერა ჯვარსა და გვირგვინზე.

— შენ გგონია, რომ... — გაუბედავად წამოიწყო ნიკამ, მაგრამ ლაზარემ არ აცალა.

— მგონია რომელია?! რატომ არ შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ თამარ მეფე, როგორც ქიტესა ბაბუა ამტკიცებდა, სწორედ ამ ეკლესიაში, აი ამ ჯვარდასმული ფილის ქვეშ იყოს დაკრძალული?

— ვარაუდით, რა თქმა უნდა, ყველაფრის ვარაუდი შეიძლება, მაგრამ დამტკიცებით ჩვენ ვერაფერს დავამტკიცებთ, სანამ აქ არქეოლოგები არ მოვლენ — სცადა ბიჭების მორიგება ესმას.

— შენ ფიქრობ, რომ არქეოლოგები მოვლენ აქ?! — რატომღაც ეჭვით იკითხა ზურამ.

— ამას რა კითხვა უნდა, ზურა! ვთქვათ, ამ ფილის ქვეშ დიდი თამარი არ განისვენებს, მეწყერისაგან დამარხული უძველესი ციხე და ეკლესია ხომ მაინც ნამდვილად არის და შენ გგგონია, არქეოლოგები უყურადღებოდ დატოვებენ ასეთ აღმოჩენას?!

— ბიჭებო!... — ლაზარემ რაღაცის თქმა დააპირა, რომ ამ დროს საიდანღაც თავისი სახელი მოესმა. ჯერ იფიქრა, მომეჩვენაო, მაგრამ რამდენიმე წამში ძახილი ზედიზედ განმეორდა. ახლა უკვე ნიკას, ესმას და ზურასაც ეძახდნენ. ძახილი გვირაბიდან მოისმოდა.

ჯერ ვერაფერს მიხვდნენ, ის კი არა, ცოტა არ იყოს, შეეშინდათ კიდეც, მიწისქვეშეთიდან ვინ უნდა გვეძახდესო.

გაოგნებულები ლაზარეს მიაჩერდნენ, შენ მაინც გაგვაგებინე, რა ხდებაო. ბიჭმა მხრები აიჩეჩა და რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ სწორედ ამ დროს გვირაბის ამოსასვლელში შუქმა იელვა, მერე კი ეკლესიაში ბესო შემოვარდა, ხელში აბრიალებული მაშხალით, სანამ ამხანაგებს რამეს ეტყოდა, დაიხარა და ერდოს თავიდან გვირაბში დარჩენილებს ჩასძახა: სალომე დეიდა, შავლეგო ბიძია, ნუ გეშინიათ, ამოდით, ყველანი აქ არიან, ცოცხლები და სალსალამათებიო.

მაშინღა გაახსენდათ ლაზარეს და მის მეგობრებს, რომ შინიდან კარგა ხნის წამოსულები იყვნენ და მიხვდნენ, როგორი აფორიაქებული იქნებოდნენ მათი მშობლები თუ ნაცნობ-ამხანაგები...

# სიცილის გაკვეთილი

— მამა გახსოვს, შენ ერთხელ მიამბე, სკოლაში რომ ვსწავლობდი, შიგადაშიგ ორიანსაც გამოვეურევდი ხოლმეო?

— კი, მახსოვს, მაგრამ რაში გაგახსენდა?

— ისე, უბრალოდ გავიფიქრე, ისტორია მეორდება-მეთქი.

*(საფრანგეთი)*



***

სკოლიდან დაბრუნებულ ვილის დედამ ჰკითხა:

— ვილი, რას აკეთებდი დღეს სკოლაში?

— ზარის დარეკვას ველოდებოდი, — მიუგო ვილიმ.

*(გერმანია)*

***

სანდრინა, — მიმართა მასწავლებელმა გოგონას, — დამისახელე ცხრა გარეული ცხოველი!

— ექვსი ლომი და ცხრა ვეფხვი, მასწავლებელო, — სხარტად უპასუხა სანდრინამ.

*(იტალია)*

***

სკოლიდან დაბრუნებულმა ჟოაომ თავმომწონედ გამოაცხადა:

— დღეს მარტო მე ვუპასუხე მასწავლებელს!

— ისეთი რა გკითხათ? — დაინტერესდა დედა.

— რა გვკითხა და, ფანჯარა რომელმა გატეხეთო?

*(ბრაზილია)*

***

მასწავლებელი: — ნოვაჩეკ, შენი საშინაო დავალება ძალიან კარგია, მაგრამ იგი სიტყვასიტყვით იმეორებს სუხალოვას ნამუშევარს... რა დასკვნა უნდა გავაკეთოთ აქედან?

ნოვაჩეკი: — ის, რომ სუხალოვას ნამუშევარიც ძალიან კარგია.

*(ჩეხეთი)*

***

მეხუთეკლასელები საკონტროლო სამუშაოს წერდნენ თემაზე: „სტუმრად ბებისათან". ყველაზე ადრე ნაწერი ლილიმ ჩააბარა. რვეულში ეწერა: „ბებია შინ არ დამხვდა".

*(ბულგარეთი)*

***

ათი წლის ვასიამ თავის კლასის დამრიგებელს დაურეკა.

— ნინა ივანოვნა, ვასია სიდოროვი ავად გახდა და დღეს სკოლაში ვერ მოვა.



— სამწუხარო ამბავია, — თქვა მასწავლებელმა, — ვინ მელაპარაკება?

— ვინ გელაპარაკებათ და... — ენა დაება ვასიას, — მამაჩემი.

*(რუსეთი)*



ეროვნული ბიბლიოთეკა

## სიტყვის კონა

*აბრუნდი* — ხრიკი, თაღლითურად შეცვლა ერთი დებულებისა მეორით.

*ალათა* — ფანჯრის ჩარჩო.

*ალაო* — დანოტიებული ფქვილი, გაღვივებული, გამხმარი და დაღერღილი ქერი, სიმინდი, ხორბალი და სხვ. იხმარება ლუდის, არყისა და ბურახის გამოსახდელად.

*ალმაგი* — ზევიდან ჩასაცმელი ჯაჭვის პერანგი, საომარი სამოსელი.

*ამბოკარი* — უქონელი, უსახლკარო.

*აპოხტი* — შესანახად გამხმარი ხორცი.

*არხლი* — დნობის შემდეგ შეყინული თოვლის ფიფქი.

*არნადი* — ბზისა და ხორბლის შესახვეტი ხის იარაღი კალოზე.

*ასტამი* — ცომის ასაფხეკი რკინის პატარა ნიჩაბი.

*აფრაკი* — გახმობისას გამრუდებული, დაბრეცილი ფიცარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ობოლი მაიმუნი აგრაფინა

*ცხოველების დიდმა სიყვარულმა მოიყვანა თვრამეტი წლის წინ ვლადიმერ ნიბლიაშვილი თბილისის ზოოპარკში, სადაც იგი დღემდე მუშაობს მომვლელად და თავს ბედნიერად გრძნობს, რადგანაც შეუძლია თავისი გულის სითბო უწილადოს ცხოველებს.*

*დღეს ვლადიმერ ნიბლიაშვილი თავის პატარა მეგობარზე, ობოლ მაიმუნ აგრაფინაზე გვიამბობს.*



ბუნებამ ყველა ცოცხალ არსებას მიუჩინა მზრუნველი — დედა, მამა ან ორივე ერთად, ყველა ახალშობილი უსუსურია — ლომის ბოკვერი იქნება თუ წრუწუნა და გარკვეული დროის განმავლობაში იგი დახმარებას საჭიროებს, უდედმამოდ დარჩენილი პატარა კი, თუ ძიძა არ გამოუჩნდა, განწირულია.

სოხუმის დაბომბვას შეეწირა საქვეყნოდ ცნობილი მაიმუნითსაშენი. ზათქითა და გამაყრუებული სროლით გულგახეთქილი, შიშისაგან გზააბნეული მაიმუნები სხვადასხვა მხარეს გარბოდნენ და თავშესაფარს ეძებდნენ. ერთი მათგანი, დედა მაიმუნი იქვე ახლოს საცხოვრებელი სახლის ეზოში გაშენებულ ციტრუსების პლანტაციაში შევარდა, ელვის უსწრაფესად აიჭრა ხეზე და გაილურსა. თავისი პატარა გულში ჩაიკრა და გაოგნებული ადევნებდა თვალს ირგვლივ დატრიალებულ ჯოჯოხეთს. პატარა მაიმუნი დროდადრო დამფრთხალ დედას ჩააშტერდებოდა და თან თავის პაწია ხელებს ცხვირზე უთათუნებდა, თითქოს ამშვიდებდა, ამხნევებდაო.

შებინდებისას სროლისა და აფეთქებების ხმა გაძლიერდა, საფრთხე მატულობდა და, ეტყობოდა, დედა მაიმუნს ეს დროებითი თავშესაფარი მაინცდამაინც საიმედოდ არ მოეჩვენა და გადაწყვიტა იქაურობას გასცლოდა, ხიდან ჩამოცოცდა, ფრთხილად, ყურადღებით მოათვალიერა იქაურობა, სწრაფად გაირბინა რამდენიმე მეტრი, ცოტა ხნით შეჩერდა, მიმოიხედა, იქნებ საიმედო ადგილი მოვძებნო ღამის გასათევადო და ის ის იყო ხეზე ასასვლელად მოემზადა, რომ... ვეღარ მოასწრო, ტყვია დაეწია. ერთი კი შეჰკივლა ტკივილისაგან, მაგრამ არ დაცემულა, დაჭრილმა კიდევ უფრო მაგრად ჩაიკრა შვილი და კვლავ სცადა ხეზე აძვრომა, მაგრამ ძალა ელეოდა, ფეხები აღარ ემორჩილებოდა და ბოლოს იქვე ჩაიკეცა, ბედს დამორჩილდა, თუმცა პატარა ხელიდან არ გაუშვია. რამდენჯერმე ჭრილობაც მოიწმინდა, მაგრამ სისხლი განუწყვეტლივ სდიოდა...

გამთენიისას ნაომარი ეზოს დასათვალიერებლად გამოსულმა სახლის პატრონმა ერთ-ერთი ხის ძირში პატარა მაიმუნი შენიშნა, მკვდარ დედას დასტრიალებდა თავზე, გაოგნებული ეძებდა მის სითბოსა და ძუძუს. ისედაც შეწუხებული ქალი მთლად დაიზაფრა, მაიმუნის უბედურებამ შეძრა, ვერ მიატოვა პატარა და თან წაიყვანა, ძლივს მოგლიჯა გაციებულ დედას. დიდხანს ეძებდა დედას პატარა, უხმობდა, სწუხდა, წრიალებდა, ვერ ისვენებდა, მაგრამ, ეტყობა, ბოლოს რაღაცას მიხვდა და ჩაწყნარდა. შიმშილით შეწუხებული თვალებსღა აცეცებდა აქეთ-იქით, რაღაცას ეძებდა. ვერაფრით დაეხმარა გულისხმიერი ქალი უმწეო ცხოველს, ირგვლივ ომი მძვინვარებდა და ადამიანიცა და ცხოველიც ერთნაირად გაჭირვებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ბედად, ჩვენმა ბიჭებმა ჩამოიარეს და შეწუხებულმა ქალმა იმათ ჩააბარა დაობლებული მაიმუნი. ყველანი თავზე ევლებოდნენ პატარას, რაღა არ შესთავაზეს, მაგრამ დაუწუნა ჯარისკაცური საჭმელები, პირი არაფერს დააკარა, ის ხომ მხოლოდ დედის რძით იკვებებოდა და ჭამაც კი არ იცოდა ხეირიანად. ბოლოს, შიმშილმა ძალიან რომ შეაწუხა, იძულებული გახდა, მეომრების ტრაპეზი გაენაწილებინა, ბიჭებმა პატარა მაიმუნს აგრაფინა დაარქვეს და სულ თან დაჰყავდათ მკერდზე მიხუტებული, ომის დამთავრების შემდეგ კი თბილისში ჩამოიყვანეს და ზოოპარკს ჩააბარეს. აგრაფინა ისე შეეჩვია ბიჭებს, რომ ძალიან გაუჭირდა მათთან განშორება, მაგრამ სხვა არჩევანი არა ჰქონდა და ბედს შეურიგდა.

ზოოპარკში მობინადრე თანამოძმეებმა არ მიიღეს პატარა ლტოლვილი მაიმუნი, ის უცხო იყო მათთვის. ობლად დარჩენილი აგრაფინა სათითაოდ აკვირდებოდა ზოოპარკში მცხოვრებ მაიმუნებს, მაგრამ როცა მათ შორის დედა ვერ აღმოაჩინა, გულნატკენი გაშორდა იქაურობას. აგრაფინა ცალკე პატარა გალიაში მოათავსეს. მე და აგრაფინა ძალიან დავმეგობრდით, ყოველ დილით ერთად დავსეირნობთ ზოოპარკის ტერიტორიაზე. იგი ცუგოსა და მურასაც დაუამხანაგდა, რომლებიც მაიმუნების პავილიონში ცხოვრობდნენ. დღის მეორე ნახევარში კი ისევ მარტო რჩება თავის პატარა გალიაში, ნაღვლიანი თვალებით სულ ვიღაცას ეძებს, ელოდება. ალბათ, დედას, რომელიც სიზმარივითღა შემორჩა მეხსიერებაში.



# მაინც რა არის ასტროლოგია?

*ასტროლოგიით, ოკულტიზმით, ნაირგვარი ჰოროსკოპებით გატაცებამ დღეს ლამის საყოველთაო ხასიათი მიიღო. ყველა — დიდი თუ პატარა, იხსრიკება სხვადასხვა სახის ლიტერატურაში, გაფაციცებით ადევნებს თვალს ასტროლოგთა წინასწარმეტყველებებს გაზეთებსა და ტელეეკრანზე. ის კი ცოტა ვინმემ იცის, თუ რა არის ასტროლოგია, საიდან მომდინარეობს ჰოროსკოპების შედგენის ტრადიცია, რა მიზანს ემსახურებოდნენ და ემსახურებიან ისინი?*

ეს სიტყვა ორ ბერძნულ ფუძეს აერთიანებს: „ასტრონ" (ვარსკვლავი) და „ლოგოს" (მეცნიერება). ასტროლოგები ერთმანეთს უჯერებდნენ გარკვეულ მოვლენებს ადამიანის ცხოვრებაში და პლანეტათა მდგომარეობას და მიიჩნევდნენ, რომ მნათობთა ამგვარივე ან მსგავსი მდგომარეობის დროს შესაძლებელია მოვლენები განმეორდეს და, მაშასადამე, შესაძლებელია ადამიანების, ოჯახების, სალხების მოქმედებათა წინასწარმეტყველებაც. ისინი მართლაც ბევრ რამეს წინასწარმეტყველებდნენ: ომებს, გვალვებს, ქარიშხლებს, წვიმებს, მიწისძვრებს, მზის დაბნელებებს და ა.შ.

ძველად იმდენად სჯეროდათ ასტროლოგებისა, რომ მათი რჩევის გარეშე არც ერთ სახელმწიფო საქმეს არ წამოიწყებდნენ. ასტროლოგებს მიმართავდნენ ხელმწიფეებიც, დიდვაჭრებიც, მიწათმოქმედებიც და, თქვენ წარმოიდგინეთ, ექიმებიც კი. ასტროლოგიამ საუკუნეებს გაუძლო და დღესაც სავსებით სიცოცხლისუნარიანი და ქმედითია. იმაზე, რომ იგი ამჟამადაც დიდ პატივშია, თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ, ვთქვათ, ამერიკის შეერთებულ შტატებში ბევრი ფირმა უარს ეუბნება სამუშაოზე მიღებაზე, მაგალითად, თევზების ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანებს „მათი გაუბედაობისათვის", კუროს — „სიზარმაცისა და არაეფექტურობისათვის", ღრიანკალს — „უხეშობისა და გაიძვერობისათვის". მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში იმართება ასტროლოგთა სიმპოზიუმები თუ კონფერენციები, გამოდის მრავალი სახის ლიტერატურა, იყიდება სამკითხაო ავტომატები. მომრავლდა სპეციალისტ-ოკულტისტთა რაოდენობა, მარტო ნიუ-იორკში მათი რიცხვი 12 ათასს აღემატება.

## ძველი ხალხების ელემენტარული ასტრონომია

დედამიწა მზის გარშემო ბრუნავს და ამიტომ წლის განმავლობაში მზე ვარსკვლავიერი ცის სხვადასხვა მონაკვეთებზე პროეცირდება. ასე ჩნდება მისი წლიური მოძრაობა ვარსკვლავთ ფონზე. გზას, რომელზეც მზე გადაადგილდება, ეკლეპტიკა ეწოდება. („ეკლიპსი" ბერძნულად დაბნელებას ნიშნავს) ეკლეპტიკა თორმეტ თანავარსკვლავედს გაივლის და თითოეულ მათგანში დაახლოებით ერთ თვეს რჩება და „აბნელებს" მას ესენია თხის რქა, მერწყული, თევზები, კურო და სხვ. ძირითადად ცხოველთა სახელწოდებები, თვით თანავარსკვლავედთა სარტყელსაც ამიტომ ჰქვია „ზოდიაქოსი (ბერძნ. „ზოდიაქოს კუკლოს ან „ცხოველთა წრე").

მზის მიერ ზოდიაქოს ყველა თანავარსკვლავედის გავლას წლიური ციკლი აგვირგვინებს. პლანეტებიც გამუდმებით იცვლიან „საცხოვრებელ" ადგილს, ამასთან ვენერა, მარსი, იუპიტერი და სატურნი დედამიწისეულ ცაზე მხოლოდ ზოდიაქოს თანავარსკვლავედებში შეიმჩნევა.

პლანეტა-ღმერთების ნიშნები ჰოროსკოპებში გადაჰქონდათ. გათვალისწინებული იყო ორი საწყისის შეთავსება: მუდმივს, რომელსაც უცვლელი ზოდიაქოს წრე განსაზღვრავს და ცვლადის, რომელიც პლანეტათა განლაგებას ასახავს. იუპიტერი და სატურნი „სიკეთეს" თესდნენ, მარსი კი „ბოროტებას", მერკურის „სიკეთე" მოჰქონდა კეთილი ადამიანებისათვის, ბოროტებისათვის კი, პირიქით, — „ბოროტება". პლანეტის სიკეთე ან სიბოროტე მისი ბუნების სიმშრალეს ან ნესტიანობას უკავშირდებოდა, აგრეთვე მის სიმხურვალეს ან სიცივეს. მზის შემდეგ ყველაზე მხურვალედ მარსი ითვლებოდა, მერე იუპიტერი, მერე ვენერა. ცივ პლანეტად ითვლებოდა მთვარე, ყველაზე ცივად — სატურნი. უძრავ ვარსკვლავთაგან ყველაზე მხურვალე ვარსკვლავად სირიუსი ითვლებოდა.

ითვლებოდა, რომ მზე და პლანეტები იმ მომენტში ზემოქმედებენ ყველაზე ძლიერად დედამიწასა და ადამიანებზე, როცა კაშკაშა ვარსკვლავების სიახლოვეს იმყოფებიან. პლანეტების ხილული ნიშნების მიხედვით მათ დახასიათებები ეძლეოდა. მარსი ბრაზიანად და ბოროტად ჵთვლებოდა, მერკური მოუსვენრად და ხტუნიად, სატურნი — დინჯად და დარბაისელად. შესაბამისი პლანეტების სითბო და სინათლე ხელს უწყობდა სხვადასხვა ადამიანების „სითბოსა" და „სინათლეს". ასე, მაგალითად, ნოტიო და მელანქოლიური მთვარე, ნახევრად სიბნელეს შეჩვეულ პროფესიებს მფარველობდა: მსახიობებს, მედუქნეებს, მევახშეებს, მისნებს. მოძრავი და ცვალებადი მერკური ხელს უწყობდა მეცნიერებისა და ხელოვნების ადამიანთა, კერძოდ, თავად ასტროლოგთა აზრის სისხარტეს. მარსი იმათ სწყალობდა, ვისაც წითელი ფერი იტაცებს: მჭედლებს, ექიმებს, ჯალათებს, მზარეულებს, მეომრებს. იუპიტერის მშვიდი შუქი ბრძენკაცებსა და მიწათმოქმედებს უწყობდა ხელს. ბერებსა და ხანდაზმულ ადამიანებს სატურნი ეხმარებოდა მისი მკრთალი სინათლით.

## რა არის ჰოროსკოპი?

ბედს რომ წინასწარმეტყველებენ, ასტროლოგები ჰოროსკოპებს (ბერძნული „ჰოროსკოპუს" — დროზე დამკვირვებელი) ადგენენ. ასე ეძახიან ხალხში ფურცლებს, რომლებშიც ზოდიაქოს ყოველ ნიშანს ამ ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანის ფსიქიკური ნიშან-თვისებები და შესაძლო მიდრეკილება-გატაცებების მონაცემები ეწერება. სიტყვის სპეციალური მნიშვნელობა კი ასეთია — „ჰოროსკოპი" ადამიანის დაბადების მომენტში ამომავალი ეკლიპტიკის წერტილია.

ასტროლოგია შემოსავლიანი საქმე იყო, მას მისდევდნენ ტიჰობრაგე, იოჰან კეპლერი და წარსულის სხვა ცნობილი მეცნიერები. რიგითი ასტროლოგები ასე იქცეოდნენ — ჩამოსხდებოდნენ ბორცვზე და ზოდიაქოს ამომავალ თანავარსკვლავედს აფიქსირებდნენ. ბავშვის დაბადებას ასტროლოგის თანამწე ადევნებდა თვალს — საჭირო მომენტში იგი გონგის ან მაშხალის მეშვეობით აცნობებდა ხოლმე მას ბავშვის გაჩენას. უფრო სახელოვან სპეციალისტებს რთული მრავალკბილანიანი ხელსაწყოებიც ჰქონდათ, რომელთა დახმარებითაც ახერხებდნენ წარსულში პლანეტების მდგომარეობის აღდგენას და მომავალში მათი მდგომარეობის განჭვრეტას.

მეთოთხმე საუკუნეში სიცილიელმა ფ. მატერნმა ევროპაში პირველმა ჩამოაყალიბა მოძღვრება ე.წ. თორმეტი „სახლის" შესახებ, რომლის თანახმადაც ცა 12 „სახლად" არის დაყოფილი. ჰოროსკოპთან ყველაზე ახლოს, ჰორიზონტის დაბლა მდებარე სახლს



სიცოცხლის სახლი ეწოდა. მერე მიდიოდა სიმდიდრის, ძმების, ნათესავების, შვილების სახლები და ა.შ. გაომდინარე პლანეტების ამ სახლებში განლაგებიდან, დგებოდა „ციური ფიგურა“ და მისი ასპექტები. ფიგურებში წყვილ-წყვილად იყო შეჯერებული თვისებები: ძლიერი-სუსტი, ცხელი-ცივი, ლამაზი-ულამაზო, მაღალი-დაბალი, ფილოსოფიური-თავქარიანი და ა.შ.

ჰოროსკოპის სიტყვამრავლობას ნიშან-თვისებების შეჯერების ხარჯზე ღებულობდნენ.თუ, ვთქვათ, პირველ სახლში (სიცოცხლე) მზე (ჯანმრთე-სინათლე) იმყოფებოდა, იგულისხმებოდა, რომ ახალშობილი ჯანმრთელი და წიგნიერი იქნებოდა. სატურნი (მკრთალი სინათლე) იმავე სახლში ზანტ და ხელმრუდ ადამიანს მოასწავებდა. მერკური (მოძრავი, სხარტი) მეორე სახლში (სიმდიდრე) ვაჭრობაში ფხიანობაზე მეტყველებდა. მთვარე (ბინდი) მეხუთე სახლში (შვილები) მოსალოდნელ მრავალშვილიანობას იუწყებოდა... დაახლოებით ამავე პრინციპებზეა აგებული დღეს ასე პოპულარული აღმოსავლური კალენდრები.

## ბედნიერი და ნავსიანი დღეები

პლანეტა-ღმერთების დახასიათებები კვირის შესაბამის დღეებზე ვრცელდებოდა. ჯერ კიდევ ძველ ქალდეაში ასტროლოგებს მიაჩნდათ, რომ არსებობს ბედნიერი დღეები, როდესაც მნათობები გონივრული და სწორი საქციელისათვის განაწყობენ ადამიანებს. ასეთია, მაგალითად, კვირა — მზის დღე. ნავს დღეებში კი მნიშვნელოვანი საქმეების წამოწყება არ ღირს. ასეთი დღეა შაბათი (სატურნის დღე) ჰიპოკრატეც, იბნ სინაც და პარაცელსიც ზოგიერთი დაავადების მკურნალობის დროს აუცილებლად ითვალისწინებდნენ წელიწადისა და დღე-ღამის დროს, ის კი არა, ჰიპოკრატე მნათობთა ამოსვლა-ჩასვლასთან დაკავშირებულ „კრიტიკულ დღეებსაც“ კი უწევდა ანგარიშს. იაპონელ ასტროლოგებს მიაჩნდათ, რომ „ნავსი“ დღეები ყოველ ადამიანს ერთი წლის პერიოდულობით, დაახლოებით ერთი და იგივე რიცხვში უმეორდება. გასული საუკუნის მიწურულს ბერლინელმა ექიმმა ვ. ფლისმა თავის პაციენტებზე დაკვირვების შედეგად დაადგინა, რომ ადამიანებს, და პირველ რიგში ბავშვებს, რეგულარულად უმეორდებათ ზოგი დაავადება. მისი აზრით თითოეული ადამიანის სიცოცხლეში, დაწყებული დაბადების მომენტიდან, ორი შინაგანი რიტმი მოქმედებს: 23-დღიანი („ფიზიკური“) და 28-დღიანი („ემოციური“). „ფიზიკური“ რიტმი ეხება ისეთ თვისებებს, როგორიცაა გამბედაობა, შეუპოვრობა, ნებისყოფა, ფიზიკური ძალა, „ემოციური“ კი — მგრძნობიარობას, ინტუიციას, აღგზნებადობას, თითოეული პერიოდი შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს — „დადებითად“ და „უარყოფითად“. ფიზიკური რიტმის დადებით ნახევარპერიოდში ადამიანი გრძნობს ძალების მოზღვავებას, შრომისუნარიანობის მომატებას, ეს ოპტიმალური დღეებია სპორტისათვის, ფიზიკურ დატვირთვასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობისათვის. ემოციური ციკლის დადებით ფაზაში, რომლის ხანგრძლივობა დაახლოებით მთვარის თვის ტოლია, ადამიანი უფრო ოპტიმისტური, კეთილი, მხიარული და ხალისიანია. ინტელექტუალური ციკლის დადებით ფაზაში ადამიანი ადვილად სწავლობს, უფრო საინტერესო და სწორ გადაწყვეტილებებს ღებულობს. უარყოფით ფაზებში კი ყოველივე პირიქით ხდება.

ფაზების ნიშნის ციკლის დღეებს კრიტიკულს უწოდებენ. სწორედ ამ დღეებში ხდება უბედური შემთხვევები, ემოციური ჩავარდნები. კრიტიკული დღეების წინასწარ გამოთვლა სავსებით შესაძლებელია, შვეიცარიასა და იაპონიაში ისეთ საათებსაც კი უშვებენ, რომლებიც მათი მფლობელის ბიორიტმების ფაზებს უჩვენებენ. მრავალი უცხოური ფირმა ითვალისწინებს ამგვარი დღეების არსებობას, შედეგად კი მნიშვნელოვნად მცირდება ავარიებისა და ტრავმატიზმის შემთხვევები. დროთა განმავლობაში სარწმუნო გახდა ძველი დროის ესკულაპების შეხედულება დღე-ღამის ამა თუ იმ მონაკვეთში მკურნალობის თავისებურებებზე. მაგალითად, დადგენილია, რომ კბილების მგრძნობიარობა ტკივილისადმი 18 საათზეა მაქსიმალური, მინიმალური კი იგი ნაშუაღამევს ხდება. ღამე ხშირდება ბრონქიალური ასთმის, სტენოკარდიის შეტევები, უფრო ხშირია მიოკარდის ინფარქტი და ინსულინი. სისხლში ადრენალინის შემადგენლობა მაქსიმუმს 9 საათზე აღწევს, მინიმუმს კი — 18 საათზე.

თანამედროვე ასტროლოგები ისე აღარ ადგენენ ჰოროსკოპებს, როგორც ამას ძველები აკეთებდნენ. ადამიანის დაბადების დღის მიხედვით დგინდება მისი ზოდიაქოს ნიშანი, ფსიქიკური ნიშან-თვისებები. საილუსტრაციოდ ერთ-ერთი ანონიმური „დიდი ჰოროსკოპის“ ნაწყვეტს გავიხსენებთ: 1) კურო; 2) 21.03 - 20.04; 3) ამეთვისტო; 4) ცეცხლის ნიშნის ქვეშ; 5) მარსის მფარველობის ქვეშ; 6) მამაკაცებისათვის: „ძლიერი ნატურა, ცხოველმყოფელობა, ენერგია. მათ ხელმძღვანელის ტალანტი აქვთ. ახასიათებთ ოპტიმიზმი, პატივმოყვარეობა, ერთგვარი იმპულსურობა და გაზვიადების მიდრეკილება...“ 7) ქალებისათვის: „ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულს თითქმის ყოველთვის აქვს პროფესია, ისინი ადვილად ითვისებენ მამაკაცურ პროფესიებს...“

როგორც ვხედავთ, ასტროლოგები ზოდიაქოს ყოველი ნიშნისათვის თავის ფსიქოლოგიურ ტიპს გამოყოფენ, ასეთი ტიპი სულ 12-ია. არსებობს ფსიქოტიპების მრავალგვარი კლასიფიკაცია. მაგალითად, ამერიკელი ფსიქოლოგი უ. შელდონი სხეულის აგებულების მიხედვით სამ ტიპს გამოყოფს: სქელები და მსქუნები, ბეჭგანიერები და დაკუნთულები, გამხდრები და სუსტები. თითოეულ მათგანს გარკვეული ფსიქიკური ნიშან-თვისებები ახასიათებს. პირველები: დონდლოები არიან, მოძრაობა მოშვებული აქვთ, უყვართ კომფორტი, მოსწონთ, როცა მათ აქებენ, ადვილად პოულობენ საერთო ენას, ნასვამ მდგომარეობაში ძალზე კონტაქტურები და რბილები არიან, მძიმე წუთებში ადამიანებისაკენ ილტვიან. მეორეებს თავდაჯერებული მიხვრა-მოხვრა, ქცევა ახასიათებთ, უყვართ თავგადასავლები, ემოციურად თავდაჭერილები არიან, ნასვამ მდგომარეობაში აგრესიულობა და მომთხოვნელობა ახასიათებთ, მძიმე წუთებში მოქმედების მოთხოვნილებას განიცდიან. და მესამე ტიპი — ამ ტიპის ადამიანებს შებოჭილი მიხვრა-მოხვრა ახასიათებთ, ისინი უკარებები, გულჩათხრობილები, ემოციურად თავდაჭერილები არიან, უყვართ თვითანალიზი, ალკოჰოლის მიმართ მდგრადობას იჩენენ, მძიმე მომენტში განმარტოებას ამჯობინებენ.

შეიძლება უბრალო ჰოროსკოპის შედგენა ბევრმა შეძლოს, მაგრამ ასტროლოგიის ჭეშმარიტი არსი ცოტას თუ ესმის, ბევრი ალმაცერად უყურებს, სასაცილოდაც კი იგდებს მას, მაგრამ დასაგმობნი მხოლოდ ისინი არიან, ვისაც ერთ-ერთი უძველესი მეცნიერება, ასტროლოგია შემოსავლის წყაროდ გაუხდია. ადამიანს კი ინდუსტრიად ქცეული მისტიური მკითხაობა-მისნობა კი არა, საკუთარი ადამიანური ბუნების, საკუთარი უნარ-შესაძლებლობებისა თუ თავისებურებების შეცნობა სჭირდება. ცხადია, ჰოროსკოპის თითო-ოროლა ფურცლის წაკითხვა გაცილებით ადვილია, ვიდრე ჭეშმარიტების წიგნში ძიება, თუმცა ვისთვის როგორ...

*„ტეხნიკა მოლოდიოჟი“*

# კითხვა — თქვენი

*მაინტერესებს, საშიშია თუ არა გველის შხამი სხვა გველისათვის, კვდება თუ არა გველი თანამოძმის ნაკბენისაგან?*

გიორგი ელიავა, თბილისის 55-ე სკოლის VI კლასის მოსწავლე

იმავე სახეობის გველისთვის გველის შხამი საშიში არ არის. ვთქვათ, გველგესლასი — სხვა გველგესლებისთვის, გიურზასი — სხვა გიურზებისთვის. უცხო გველის შხამისგან კი გველი აუცილებლად დაიღუპება. თუმცა გამონაკლისებიც არსებობს. მაგალითად, ინდოეთის ბინადარი სამეფო კობრა სხვა შხამიან გველებზე ნადირობს. თვითონ კობრას კი მათი შხა-



მი სულაც არ ვნებს. სამხრეთაფრიკული მასურანაკი, თუმცა თვითონ შხამიანი არ არის, მხოლოდ შხამიანი გველებით იკვებება.

*ტელევიზორში ხშირად აცხადებენ ხოლმე, ამა და ამ ქვეყანას ცუნამიმ გადაუარაო და საშინელ კადრებს აჩვენებენ. ვხვდები, რომ ცუნამი დამანგრეველი ძალის ქარიშხალია, მაგრამ მინდა უფრო მეტი ვიცოდე მის შესახებ.*

თამარ სალაძე, ზესტაფონი.

მიწისძვრა მარტო მთაში თუ ბარში კი არ არის საშიში, არამედ ოკეანის ფსკერზეც. იკითხავთ, ვისთვის, ზღვის ბინადრებისთვისო? არაფერიც, ადა-



მიანისთვის. წყალქვეშა მიწისძვრები წყლის გიგანტურ მთებს — ცუნამის წარმოშობს.

ამ მძლავრი ტალღის სიმაღლე რამდენიმე ათეული მეტრს აღწევს, შეტევის ფრონტი კი 200-300 კილომეტრს. ცუნამი რეაქტიული თვითმფრინავის სიჩქარით მოიწევს ნაპირისკენ, ზოგჯერ იგი 900 კმ/სთ-ს აღწევს. ცხადია, ცუნამის საშინელი შედეგები მოსდევს, ამიტომაც დიდი მნიშვნელობა აქვს ზღვისპირეთში მცხოვრებთა დროულ გაფრთხილებას. თუმცა, ცუნამისთან ბრძოლა ჯერჯერობით შეუძლებელია, მასთან შეხვედრის თავიდან აცილება შესაძლებელია. არსებობს საგანგებო სეისმური სადგურები, რომლებიც ოკეანის ფსკერის ძვრებს აფიქსირებენ და საჭიროებისამებრ განგაშს სტეხენ.

*თუ შეიძლება, დაწვრილებით გვიამბეთ როდის და როგორ გამოიგონეს ფანქარი?*

დავით ჩალაძე, თბილისი

ეს 1564 წელს მოხდა. ინგლისში, კემბერლენის საგრაფოში ატეხილი საშინელი ქექა-ქუხილის დამთავრების შემდეგ ნამეხარი ხის სიახლოვეს გაჩენილ ორმოში რაღაც შავ ნივთიერებას წააწყდნენ. იგი გრაფიტი გამოდგა. ადგილობრივი მწყემსები გრაფიტით ცხვრებს ნიშანს ადებდნენ, ვაჭრები კი კალათებსა და ყუთებს წარწერებს აწერდნენ. პირველ „ფანქრებს“ ორი ნაკლი ჰქონდა: ისინი თითებს სვრიდნენ და ადვილად ტყდებოდნენ. მაშინ გადაწყვიტეს, ყაითანი, ზორტი შემოეხვიათ, ხოლო იმისათვის, რომ თითები აღარ დასვროდათ, გრაფიტს გოგირდს, ფისს, სურმას ურევდნენ. მერე და მერე რბილი და მაგარი გრაფიტის დამზადებაც ისწავლეს, ამ მიზნით თიხაგა-



რეული გრაფიტები ღუმელში უნდა გამოეწვათ. ახლანდელი სახე კი ფანქარმა გასულ საუკუნეში მიიღო. მას შემდეგ ათასგვარი კალმისტარი თუ ფლომასტერი გამოიგონეს, მაგრამ ფანქარს ვერაფერი გამოდევნის, იაფი, პრაქტიკული, მსუბუქი ფანქარი ყოველთვის იქნება ხმარებაში.

# პასუხი — ჩვენი

# თეატრი რთული ფენომენია!

## 3.

ხათუნა წულაძე



დიდასკალიებმა შემოგვინახეს დიონისეს დღესასწაულებზე გამართულ წარმოდგენებში გამარჯვებული ტრაგიკოსების სახელები: ესქილე, სოფოკლე, ევრიპიდე. სწორედ ისინი განსაზღვრავდნენ ჩვ. წ. აღ.-ის ბერძნული დრამატურგიისა და თეატრის განვითარებას. მათი შემოქმედება კლასიკურადაა აღიარებული, რადგანაც მიუხედავად სიძველისა, ყველა დროისათვის თანადროულია თავისი პრობლემებითა და მხატვრული ღირსებებით.

ბერძნული ტრაგედიის მამამთავრად აღიარებული ესქილე (525-456 ჩვ. წ. აღ) პირველი დრამატურგია, რომლის პიესებმაც ჩვენამდე მოაღწია. მისი პიესების უმრავლესობა, ისევე როგორც სოფოკლესი და ევრიპიდესი, მითიურ სიუჟეტებზეა აგებული და წარმოადგენს ამ მითების ავტორისეულ ინტერპრეტაციებს. ცნობილია, რომ ესქილეს თავისი პიესების მთავარ მოქმედ პირებად გამოჰყავდა გმირები და ზეადამიანები, სოფოკლეს — იდეალური ადამიანები, ხოლო ევრიპიდეს-რეალური ადამიანები.

ბერძენი ტრაგიკოსების შემოქმედებაში ადამიანის პიროვნული თავისუფლება წარმოადგენს იმ მთავარ და აუცილებელ ღირებულებას, რომლის გარეშეც ყველა სხვა დანარჩენი ღირებულება ფიქციაა და მეტი არაფერი. ადამიანის მზერა ღმერთების სამყაროდან თანდათანობით მათსავე შინაგან სამყაროში მიიქცევა და ცნობიერების კარები ამიერიდან გარედან შიგნით დაიწყებს ჭრიალს.

ესქილეს პიესაში „მიჯაჭვული პრომეთე", ტიტან პრომეთეს მიჰყავს ადამიანები ამ კარებთან და აღუძრავს მათ თვითცნობიერების ანუ საკუთარი თავის შეცნობის სურვილს. ამ პიესაში ყველაზე სრულად გამოვლინდა ესქილეს ფილოსოფიურ-რელიგიური მსოფლმხედველობა, რომელსაც იგი უპირისპირებს ოლიმპიურ მსოფლმხედველობას. სამყაროს ცენტრში იდგა ღმერთი, რომლის ნებაც წარმართავდა ყველას და ყველაფერს. ადამიანი წარმოადგენდა საშუალებას მისი ნების დაუყოვნებელი შესრულებისათვის. ეს იყო რწმენა, ეს იყო არსი სამყაროსეული კანონზომიერებისა. პირველად ესქილემ შეარყია მისი ძირები, სოფოკლემ კიდევ უფრო მძლავრად შეატორტმანა იგი, ევრიპიდემ კი ძირფესვიანად ამოთხარა და მის ადგილას სრულიად ახალი ნერგი დარგო. ესქილემ თავის პიესებში გვიჩვენა, რომ ადამიანი ბედისწერის ბრმა იარაღი კი არ არის, არამედ გონიერი არსებაა, რომელსაც შეუძლია გააკეთოს თავისუფალი არჩევანი. მართალია, ის ჯერ კიდევ არ არის „ადამიანი", ის ტიტანია პრომეთეს სახით, მაგრამ პრომეთე გვევლინება ადამიანების როგორც მატერიალური, (ცეცხლის მიცემა, სხვადასხვა ხელობათა და ხელოვნების სწავლება), ასევე სულიერი პროგრეს (თვითცნობიერება, თავისუფლება, პიროვნულობა) საწყისად.

პრომეთეს ტიტანურ ძალას უპირისპირდება ღვთიური ძალა ზევსის სახით. იგი მესამე ხელისუფალია ღვთაებისა და სამყაროსი, რომელთა წარმოშობაც თავდაპირველი, უსასრულო და დაუსაბამო ქაოსიდან დაიწყო. მისგან იშვა დედამიწა — გეა, ქვესკნელი — ტარტაროსი და სიყვარული — ეროსი. ყველა სხვა დანარჩენი, ბნელი და ნათელი, ღამე და დღე, თანდათანობით ენაცვლება ერთმანეთს და დედამიწისაგან ნაშობი ცა — ურანოსი სამყაროს პირველ მბრძანებლად ანუ პირველ ტირანად მოევლინება, რადგანაც თავისი დედისა და მეუღლის — დედამიწისაგან ნაშობი ტიტანების ძლიერებით თავზარდაცემული, საკუთარ შვილებს დედისავე წიაღში დაამწყვდევს. სიტყვა „ტიტანი" ნიშნავს ხელი აღმართო ვიღაცის წინააღმდეგ და ურანოსმაც თავი დაიზღვია, რათა ამ „ვიღაცის" ჯდგილას თავად არ აღმოჩენილიყო. მაგრამ ძალადობა ყოველთვის ძალადობას შობს და მიუხედავად სიფრთხილისა, უმცროსმა ვაჟმა, კრონოსმა — დრომ, ხელი აღმართო მამის წინააღმდეგ, რათა დაემხო ძალადობა და თავადვე გამხდარიყო მოძალადე. სამყაროს ახალი მბრძანებელი მოევლინა, — კრონოსი, — დრო, რომლის ბატონობის დროც ისევე ხანმოკლე აღმოჩნდა მარადისობასთან შედარებით, როგორც მისი შვილის — ზევსის ბატონობა აღმოჩნდება პრომეთეს წინასწარმეტყველებით. სიტყვა „პრომეთე" ხომ წინასწარმეტყველს ნიშნავს და მან იცის, რომ ზევსსაც მისი შვილი ჩამოაგდებს ტახტიდან, როგორც თავად ზევსმა ჩამოაგდო კრონოსი, რადგან კრონოსმა — დრომ იგი ვერ გადაყლაპა დანარჩენ შვილებთან ერთად. დრომ ვერ შთანთქა ძალადობა, რომელიც თავადვე შვა და ზევსიც უძლურია შეაჩეროს იგი, რადგანაც რაც არის მამა, ის არის შვილიც. თავად ზევსი პიესაში არ ჩანს. მისი სახელით მოქმედებენ ძალა და უფლება, რომელნიც მიაჯაჭვავენ პრომეთეს კავკასიონის ქედზე. „ურყევია ნება ზევსისა, ნიადაგ მოსდგამს სისატიკე ახალ მბრძანებელს". ამ ურ-



ესქილე

ყევ ნებას ემორჩილება ყველა, გარდა პრომეთესი, რისთვისაც იგი დაისაჯა სამაგალითოდ. „მეჯავრება ღმერთი ყველა" — ხმამაღლა ამბობს პრომეთე და იგი მზად არის შეეგებოს ნებისმიერ ტანჯვა-წამებას, რადგანაც არჩევანი მონობასა და თავისუფლებას შორის უკვე გააკეთა. თავისუფლება არის მისი არჩევანი და ამიტომაც ვერ ასცდება ტანჯვაწამებას. პრომეთეს აქვს თვითცნობიერება, მან იცის თავისი შინაგანი სამყარო, ამიტომაც მისი არჩევანი, მისი საქციელი სამართლიანია. ზევსს არ გააჩნია ასეთი ცოდნა, ამიტომაც იქცევა უსამართლოდ. უსამართლობა კი თუ ადრე არა, მოგვიანებით მაინც დაისჯება. ასეთია ესქილეს მსოფლმხედველობა, სადაც რწმენა ღვთიური სამართლიანობისა ჯერ კიდევ არსებობს.

სოფოკლე (497-406 ჩვ.წ. აღ.) შეეცილება პირველობას ესქილეს პოეტ-ტრაგიკოსთა შეჯიბრებებში. სოფოკლემ სცენაზე სამი მსახიობი გამოიყვანა, რითაც კიდევ უფრო მეტი დინამიურობა და ტრაგიზმი შესძინა მოქმედებას. ესქილეს სპექტაკლებში, სადაც სულ ორი მსახიობი იდგა სცენაზე, წამყვანი როლი ქოროს პარტიებს განეკუთვნებოდა.

სოფოკლეს პიესების ძირითადი თემა პიროვნების თავისუფალი ნებისა და ბრმა ბედისწერის ურთიერთშეჯახებაა. აქ უკვე ღმერთები კიდევ უფრო ღრმა და დაფარულნი ხდებიან ადამიანის მზერისათვის. მათი „ღვთიური სამართლიანობა" გაუგებარი და უმეტეს შემთხვევაში უსამართლოც კი ჩანს, რადგანაც მათ შორის ახლა უსასრულო უფსკრულია. ღმერთები უკვე აღარ ჰგავანან ადამიანებს და აღარც ადამიანები ჰგავანან ღმერთებს. მართალია, სოფოკლეს პიესების მთავარი გმირები ძლიერი ნების და ამაღლებული სულის ადამიანები არიან, რომლებიც მიისწრაფიან სრულყოფილი, იდეალური სახისაკენ, მაგრამ ეს თავად სოფოკლეს მრწამსი იყო. მას მიაჩნდა, რომ ადამიანი არ წარმოადგენს მხოლოდ იმას, როგორიც ის არის სინამდვილეში, არამედ მას აქვს უფლება იყოს ისეთიც, როგორიც მას სურს რომ იყოს. ოიდიპოს მეფე, ანტიგონე... ხალხისათვის სამაგალითო გმირებს წარმოადგენენ.ბერძნები აღფრთოვანებული იყვნენ მათი სულის სიდიადით და ურყევი ნებით. ამიტომაც იწვევდა ამ გმირთა ტანჯვა ასეთ თანაგრძნობას ხალხში. მაყურებელი გმირებთან ერთად მიდიოდა „ტანჯვის გზით შეცნობისაკენ". ანტიგონეს სურვილები და ანტიგონეს პიროვნული ნება წარმოადგენდა დემოკრატიული ათენის თავისუფალი მოსახლეობის სურვილებსა და ნებას. სოფოკლესათვის პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესები განუყოფელია ერთმანეთისაგან, რადგანაც იდეალური პიროვნება ახორციელებს რა პირად მოთხოვნებსა და აუცილებლობებს, ამით ახორციელებს საზოგადოებრივსა თუ სახელმწიფოებრივ აუცილებლობებსაც. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს „ოიდიპოს მეფეში", სადაც საზოგადოების მოთხოვნა, იპოვონ ლაიოს მეფის მკვლელი, რათა იხსნან ქალაქი შავი ჭირისაგან, ოიდიპოსის პირად მოთხოვნად იქცევა და მიუხედავად ძიებისას გამოვლენილი მისთვის არასასურველი ფაქტებისა, იგი მაინც განაგრძობს დამნაშავის ძებნას, რადგანაც თანდათანობით აცნობიერებს თავის დანაშაულს კაცის მოკვლისა, თუმცა როგორც მამის მკვლელი, იგი სრულიად უდანაშაულოა, რადგანაც მან არ იცოდა, ვინ იყო ეს კაცი. უდანაშაულოა ოიდიპოსი საკუთარი დედის ცოლად შერთვაშიც, რადგანაც მან არც იოკასტეს ვინაობა იცოდა. ე.ი. იმაში, რაშიც ბრალი ედება ოიდიპოსს ღმერთებისაგან, იგი სრულიად მართალია, რადგან ბედისწერის მოირებმა მას ეს ბედი დააწერეს. და ოიდიპოსიც ვერ გაექცა ამას. მაგრამ ოიდიპოსი თუ მამის არა, კაცის მკვლელად მაინც რჩება, რადგანაც მან სასიკვდილოდ გაიმეტა ადამიანი,. რომელმაც მათრახი მოუქნია მის ამაყ კისერს. მოკლა და მშვიდად გააგრძელა გზა, გამოიცნო სფინქსის გამოცანა და გახდა მეფე. თხუთმეტი წელი ისე იმეფა, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს. ოიდიპოსი ამაყია, ოიდიპოსი თავნებაა, ოიდიპოსი ყოვლისმცოდნედ წარმოაჩენს თავს. ხალხისათვის იგი სამაგალითო და მზრუნველი მეფეა. თითქოს და უსამართლოა ის ხვედრი,. რომელიც მას ერგება — მეფობიდან მათხოვრობამდე. თითქოსდა უსამართლოა... მაგრამ სო-



ფოკლეს მიაჩნია, რომ ოიდიპოსი ისჯება იმ უვიცობისათვის, რომელსაც იგი ყოვლისმცოდნეობად წარმოაჩენს და ამიტომაც თვალების დათხრა უკვე მისი პირადი განაჩენია, რომელსაც იგი საკუთარ თავს გამოუტანს და რომლითაც იგი სრულად გამოისყიდის თავის ცოდვებს. თუკი ბედისწერის განაჩენი ბრმა აუცილებლობას წარმოადგენს, ოიდიპოსის განაჩენი გააზრებული, თავისუფალი ნების აუცილებლობაა და ამ ორთაბრძოლაში ერთიც მარცხდება და მეორეც, ერთიც იმარჯვებს და მეორეც.

განსხვავებით ესქილესა და სოფოკლესაგან, ევრიპიდეს (480-406 ჩვ. წ. აღ.) შემოქმედება სრულიად ახალ რელიგიურ-ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას ეფუძნება და ამდენად ძველი მსოფლმხედველობის გადაფასებას წარმოადგენს. ეს გამოწვეულია უპირველეს ყოვლისა იმ დაძაბული სოციალურ-პოლიტიკური ვითარებით, რომელიც პელოპონესის ომის (სამოქალაქო ომი ათენსა და სპარტას შორის) პერიოდში სუფევდა საბერძნეთში. ძმათა შორის დაღვრილი სისხლი საბერძნეთის დაცემისა და დაკნინების მომასწავებელი იყო და ევრიპიდემ უკვე ეჭვქვეშ დააყენა ესქილესა და სოფოკლეს მიერ წამოყენებული გონების პრიორიტეტი, რომლის მიხედვითაც გრძნობა ყოველთვის არასწორი საქციელისაკენ უბიძგებს ადამიანს, ხოლო გონება განაპირობებს მისი არჩევანის სისწორესა და სამართლიანობას. ევრიპიდეს მიაჩნია, რომ ადამიანის უბედურებისა და ბოროტების თავიდათავი არის მისი გათიშვა ბუნებისაგან, რომლის ნაწილსაც ის წარმოადგენს. და რაცა ხდება ამ ბუნებრივი საწყისის დათრგუნვა ადამიანში, მისი საქციელი ყოველთვის არასამართლიანი და არასწორია. იმისათვის, რომ მიაღწიოს ჰარმონიასა და გაწონასწორებულობას, ადამიანმა უნდა იცხოვროს ბუნების კანონების შესაბამისად და არა საზოგადოებრივი თუ სახელმწიფოებრივი კანონების შესაბამისად. განსხვავებით ესქილესა და სოფოკლესაგან, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივსა თუ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, ევრიპიდე განმარტოებითსა და მჭვრეტელობით ცხოვრებას ამჯობინებს და ამასვე ურჩევს სხვებსაც, რათა არ გახდნენ ამბიციების მსხვერპლნი. ევრიპიდეს აზრით, გრძნობა ადამიანის ბუნებრივი საწყისია და ამიტომ გრძნობის მიხედვით მოქმედება ნიშნავს ბუნებრივ, ხოლო გონების მიხედვით მოქმედება, ბუნების საწინააღმდეგოდ მოქმედებას, რაც ყო-



სოფოკლე

ველთვის მარცხით მთავრდება. ევრიპიდემ მითიური პერსონაჟების სახით ასახა ადამიანები ისეთებად, როგორებიც ისინი რეალურ სინამდვილეში იყვნენ და ჩამოაშორა მათ ყოველგვარი ზებუნებრივი და იდეალური საბურველი. ევრიპიდეს პიესებში საერთოდ აღარ არის რწმენა ღვთიური სამართლიანობისა. ევრიპიდემ აამეტყველა რა თავისი გმირები ყოველდღიური სალაპარაკო ენით და აამოძრავა რა მათ ძარღვებში დიონისეს ღვთიური ღვინით გაუჯერებელი სისხლი, ამით წარმოაჩინა ისეთი ადამიანები, რომელთაც გარდა გამჭრიახი გონებისა, ძლიერი გრძნობებიც გააჩნიათ.

სწორედ ასეთი `გამჭრიახი გონებისა და ძლიერი გრძნობების პატრონია მედეა. ჩვენთვის, ქართველებისათვის, განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვანია კოლხეთის მეფის ასულის ტრაგიკული ბედი. ოქროს საწმისის მომტაცებელი იაზონთან ერთად, სამშობლოს მოღალატე და ძმის მკვლელი, იაზონის გულისთვის კიდევ სხვა მკვლელობათა ჩამდენი, საბოლოოდ აგვირგვინებს თავის დანაშაულობათა ნუსხას საკუთარი შვილების მკვლელობით. რითაა საინტერესო და რით იზიდავს მილიონობით მკითხველს ამ ავბედითი ქალის სახე? პიესის მოქმედ პირებს შორის მედეა ერთადერთი პიროვნებაა. თავისი წმინდა ადამიანური განცდებით, თავისი ვნებათა ღელვით, თავისი გონიერებითა და მიხვედრილობით. იგი დამნაშავეა ყველასა და ყველაფრის წინაშე, გარდა იაზონისა. იაზონისადმი სიყვარული წარმოადგენს მედეას ცხოვრების ერთადერთ გამართლებას და როცა ამ სიყვარულსაც ფეხქვეშ თელავენ, მას აღარაფერი დარჩენია საკუთარი თავის განადგურების გარდა. მედეაში ერთმანეთს ებრძვის ორი ძალა: გრძნობა და გონება. საბოლოოდ ცივი გონება განაჩენს გამოუტანს იაზონსაც, შვილებსაც და საკუთარ თავსაც. თუკი ოიდიპოსი თვალებს ითხრის, მედეა კლავს შვილებს, რათა დასაჯოს უპირველესად საკუთარი თავი. შვილების მოკვლის შემდეგ მედეა კვდება. რჩება მხოლოდ მისი ფიზიკური გარსი, გველეშაპებშებმულ ეტლში მჯდომარე ჯადოქრის სახით, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს მედეას თავდაპირველ სახესთან.

ევრიპიდეს შემოქმედება ერთ-



ევრიპიდე

გვარად ამთავრებს ტრაგიკული ხელოვნების განვითარებას საბერძნეთში.

# იწილოთ — ბიწილოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## როგორ ფიქრობთ, რამდენი განსხვავებაა ამ ორ ნახატს შორის?





## რა არის გამოსახული ამ ნახატზე?



## კროსვორდი



*თარაზულად:* 1. ბუნებრივი წყალსაცავი; 3. კუნძულები ფიჯის ზღვაში; 5. ყირგიზეთის საოლქო ცენტრი; 9. XVIII-XIX სს. გამოჩენილი ქართველი მოგზაური; 12. ბალტიისპირა სახელმწიფოს დედაქალაქი; 13. დარიშხანის საბადო საქართველოში; 14. წყლის დინების ხელოვნური კალაპოტი; 21. ტბა უნგრეთში; 22. ნეპალის დედაქალაქი; 28. კონცხი, აზიის უკიდურესი სამხრეთი წერტილი; 29. საფრანგეთის ნავსადგური; 30. აფრიკული შხამიანი ბუზი; 33. ერთ-ერთი უდიდესი მოქმედი ვულკანი ამერიკის კონტინენტზე; 34. კურორტი შავი ზღვის სანაპიროზე; 35. ამიერკავკასიაში გავრცელებული ხილი; 36. სოფელი წალენჯიხის რაიონში.

*შვეულად:* 2. ევროპის სახელმწიფოს დედაქალაქი; 4. ქვეყნის ნაწილი; 6. საქართველოს კურორტი; 7. ციმბირის წიწვოვანი ტყეები; 8. მცენარეული საფარი; 10. ტბა აშშ-ში; 11. დუნაის მარცხენა შენაკადი რუმინეთში; 15. დედამიწის ჭარბტენიანი ზედაპირი; 16. მხარე რუსეთში; 17. მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მდინარე; 18.მდინარე ყაზახეთსა და ჩინეთში; 19. რაიონული ცენტრი საქართველოში; 20. ქალაქი კოსტრომის ოლქში; 23. წარმოსახვითი ხაზი, რომელიც დედამიწას ჩრდილოეთ და სამხრეთ ნახევარსფეროებად ყოფს; 24. უდიდესი ვულკანი ფილიპინებზე; 25. ქალაქი ვიეტნამში; 26. აზიის სახელმწიფოს დედაქალაქი; 27. დედამიწა ძველბერძნულად; 31. აფრიკის სახელმწიფო; 32. დედამიწის რელიეფის სიგრძივი ამოზნექილობა, მთათა სისტემა.

## წინა ნომერში დაბეჭდილი კროსვორდის პასუხები

*თარაზულად:* 2. არამისი; 4. ამპერი; 5. როიალი; 8. მოცვი; 9. მარტი; 10. „დაისი"; 14. ბარჟა; 15. ბრიზი; 19. ატომი; 20. ბრიგი; 21. ლისტი; 24. ალასკა; 25. ღამურა; 27. ამერიკა.

*შვეულად:* 1. ალამი; 2. ათენი; 3. ირისი; 4. აკაცია; 6. ირტიში; 7. აორტა; 8. მონტანა; 11. იალბუზი; 12. ვერდი; 13. კაირო; 16. აგონია; 17. აფიშა; 18. მესტია; 22. ბასრა; 23. ბამბა; 26. არჩვი.



# როკ ენციკლოპედია

„არმაგედონი“ (ARMAGEDDON) — ეს ჯგუფი 1975 წელს ჩამოაყალიბეს დიდ ბრიტანეთში მარტინ პაფმა (გიტარა) და ლუის სენამომ (ბასი), რომლებიც 70-იანი წლების დამდეგს ჯგუფ „სტიმჰამერში“ უკრავდნენ. მოგვიანებით მათ ქეით რელფი შეუერთდა. „იარდბერძის“ ვოკალისტი, მას მედოლე ბობი კოლდუელიც მოჰყვა.

ჯგუფს ცნობილმა ამერიკელმა პროდიუსერმა ჯერი მოსმა მოუსმინა და კონტრაქტი შესთავაზა. პირველი ფირფიტა „არმაგედონი“ 1975 წელს გამოვიდა. ამ ჯგუფის ძლიერმა რიტმ-ენდ-ბლიუზმა მთელი ამერიკა აა-



ფორიაქა. კონტრაქტებს თვლა აღარ ჰქონდა. „არმაგედონის“ პირველი ფირფიტის ხუთ სიმღერას განუწყვეტლივ გადასცემდნენ რადიოთი. მუსიკოსები მეორე ფირფიტის ჩასაწერად ემზადებოდნენ, მაგრამ 1976 წ. ქეით რელფი საკუთარ ბინაში ელექტროგაყვანილობის შეკეთებას შეეწირა, როცა თვითონვე მოინდომა სადენის შეცვლა... მისმა დამთავი მოუყარა მომავალი ფირფიტის ნედლ მასალას და ქეითის მეგობართან მედოლე ჯიმი მაკარტისთან ერთად შექმნა ჯგუფი „ილუზია“, რომელიც ძირითადად ქეით რელფის მუსიკალური იდეებით სარგებლობდა.

ბიგ-ბენდი (ინგლ. BIG BAND - დიდი ორკესტრი) — ჯაზორკესტრის დამახასიათებელი ნაირსახეობა, რომელიც საკრავების განსაზღვრული რაოდენობით, საკრავიერი ჯგუფების სპეციფიკური დაყოფითა და ანსამბლური დაკვრის თავისებური ტექნიკით გამოირჩევა. ბიგ-ბენდში 10-20 მუსიკოსია. ყველაზე ცნობილი ბიგ-ბენდებს განეკუთვნება ფლეთჩერ ჰენდერსონის, დიუკ ელინგტონის, სტენ კენტონის, ბენი გუდმანის, კაუნთ ბეისის, ვუდი გერმანის, ჰილ ევანსის, დონ ელისის და სხვა ორკესტრები.

ბლიუზი — (ინგლ. BLUES, BLUE DEVILS — მელანქოლია, სევდა) — აფრიკა-ამერიკული მუსიკის ტრადიციული ჟანრი. ბლიუზის ევოლუციის პროცესში სამ პერიოდს გამოყოფენ: არქაული, კლასიკური და თანამედროვე. კლასიკური ბლიუზის გაფურჩქვნის წლებია 1925-1935, რასაც თანამედროვე ფორმებზე გადასვლა მოჰყვა. ამ დროისათვის საბოლოოდ ჩამოყალიბდა ბლიუზის უმნიშვნელოვანესი დამახასიათებელი თავისებურებები. კლასიკური 12 ტაქტიანი ბლიუზური ფორმა, მელოდიკის თვითმყოფადი ტიპი, დაწეული III და IV საფეხურები. ბგერათა მაჟორულ რიგში. ბლიუზების პირველი კრებული 1912 წელს გამოსცა ზანგთა ფოლკლორის ცნობილმა შემგროვებელმა და კომპოზიტორმა უილიამ ჰენდიმ. ამ ჟანრის ცნობილ წარმომადგენელთა შორის არიან: ლ. ჯეფერსონი, უ. ჰენდი, ჰ. ლედბული, ბ. სმიტი, ს. უილიამსი, დ. ჰუკერი და სხვ. მთელ მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ბლიუზებია: „დილა მშვიდობის“, „სევდა“, „უდარდელი სიყვარული“, ბეისინ-სტრით“, „შეხედე, მხედარო“ და ა. შ.

„ბი ჯიზ“ (ინგლ. „BEE GEES“) 1958 წელს შეიქმნა ავსტრალიაში. შემადგენლობა: ბერი ჯიბი (ვოკალი, გიტარა), რობინ ჯიბი (ვოკალი), მორის ჯიბი (ვოკალი, კლავიშიანები). ინგლისელმა ძმებმა ჯიბებმა 1955 წელს დაიწყეს გამოსვლა მამასთან, ჰიუ ჯიბთან ერთად. ჯგუფმა, რომელიც პერიოდულად იცვლიდა სახელწოდებს („რეთლსნეიქს“, „უი ჯონი ჰეის“, „ბლუკეტს“), მთელი ინგლისი შემოიარა კონცერტებით. 1958 წ. ოჯახი ავსტრალიაში გადასახლდა და საბოლოოდ დაიმკვიდრა სახელწოდება „ბი ჯიზ“. 1962 წელს ჯიბებმა ხელი მოაწერეს კონტრაქტს ფირმა „ფესტივალ რეკორდსთან“ და მომდევნო ხუთ წელიწადში რამდენიმე ათეული სინგლი და ორი ალბომი გამოუშვეს. ეს ის წლებია, როცა ჯგუფის ძირითადი კომპოზიტორი მორისი იყო, დამახასიათებელი ნიშან-თვისება კი სამხმიანობა. თუმცა ჯგუფი რეგულარულად გამოდიოდა ავსტრალიის ტელევიზიით, ფართო საზოგადოების ყურადღება მან ინგლისში დაბრუნების შემდეგ მიიქცია. ძმებმა მიიწვიეს კოლინ პეტერსონი (დასარტყამი საკრავები) და ვინსენტ მელაუნი (გიტარა). 1967 წ. გამოსულ პირველ ალბომს მეორე მოჰყვა („ჰორიზონტალ“, 1968) და „ბი ჯიზს“ მარტო ინგლისში კი არა, ამერიკაშიც გაუჩნდა თაყვანისმცემლები. იმ ხანად ძმებს „ბითლებს“ ადარებდნენ, მაგრამ მათ არანჟირებას ერთგვარი ღვარჭნილობა, სიმღერებს კი სენტიმენტალობა ახასიათებდა.



1969 წ. ჯგუფი დაიშალა. რობინმა სოლო ალბომის ჩაწერა დაიწყო, ბერიმ და მორისმა კი დუეტი შექმნეს, თუმცა სამივენი მალე კვლავ გაერთიანდნენ და ზედიზედ ჩაწერეს რამდენიმე საინტერესო ფირფიტა: „ოდესა“, „სიყვარულის ხმა“, „ტრაფალგარი“, „მისტერ ბუნება“.

1975 წლიდან „ბი ჯიზის“ სტილში დისკომ იმატა და ამ სტილში ჩაიწერა ალბომები „მთავარი კურსი“, „მსოფლიოს შვილები“. ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო ფილმ „შაბათ საღამოს ციებ-ცხელების“ გახმოვანებაში და ალბომი ფილმის სიმღერებით კარგა ხანს საერთაშორისო ბესტსელერი იყო. 1981 წ. გამოვიდა ძმების დისკი „ცოცხალი მზერა“, ამის შემდეგ კი თითოეულმა დამოუკიდებლად დაიწყო მუშაობა.